საერთო გაზეთი

№44 (407) • 23 ნოემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

გელა დუმბაძე: დიასპორის სამინისტრომ, წლების განმავლობაში, შეძლო სახელმწიფოსთვის სასარგებლო საქმე ეკეთებინა... ვფიქრობ, **მთავარი ესაა!**

ზაურ კალანდია: რა დაუშავა შოთა რუსთაველმა გიორგი მარგველაშვილს, რომელსაც 2016 წელს რუსთაველის 850 წლის იუბილეს ჩატარება დაავიწყდა?!

ლია ელიავა: ნუ ეძებთ სხვა დამნაშავეს - ლარის გაუფასურება თავიდან ბოლომდე **ეროვნული ბანკის** ბრალია!

გერბია თუ თავსატეხი?

საქართველოს გერბს ქართული წარწერა რომ არ ჰქონდეს, ვერავინ მიხვდებოდა, რომელი ქვეყნის **გერბია...**

დონალდ ტრამპი დანაღვლიანებულია: გავიგე, რომ ქალის სასქესო ორგანოზე ხელის წავლება არ შეიძლება, კაცისა კიდევ მე არ მინდა... რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეო?

უდანაშაულო ადამიანები გამართლდნენ, მაგრამ ვინ გაასამართლებს იმ პროკურორებს და მოსამართლეებს, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანები ციხეში გამოამწყვდიეს?

„პლანაქეშები“ და ჩემი უბნელი ბობ მარლი ჯაფარიძე

1917 წლის 7 ნოემბერს **„ავრორას“** მიერ გასროლილი ყუმბარა 2016 წლის 8 ნოემბერს აშშ-ში გასკდა?

გელა დუმბაძე:

დიასპორის სამინისტრომ, წლების განმავლობაში, შეძლო სახელმწიფოსთვის სასარგებლო საქმე ეკეთებინა... ვფიქრობ, მთავარი ესაა!

სტატისტიკური მონაცემებით, საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა დაახლოებით 1 607 744 ადამიანს შეადგენს. დაახლოებით იმიტომ, რომ საზღვარგარეთ არალეგალურად მყოფთა დაზუსტებული რაოდენობა ცნობილი არაა. ყველაზე მეტი - 800 000 ქართველი რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს, 250 000 ჩვენი თანამემამულე საბერძნეთში იმყოფება, (აქედან 100 000 ეთნიკური ბერძენია), 150 000 ქართველი ცხოვრობს უკრაინაში, 100 000 თურქეთში, 80 000 ამერიკის შეერთებულ შტატებში, 35 000 აზერბაიჯანში, 30 000 ესპანეთში, 25 000 გერმანიაში და ა.შ.. საბჭოთა კავშირის ნგრევისა და „რკინის ფარდის“ გახსნის შემდეგ, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა თუ განათლების მიღების მიზნით, ქართველებმა მასიურად დაიწყეს უცხოეთში გამგზავრება, რამაც სხვადასხვა ქვეყანაში ქართული სათვისტომოების ჩამოყალიბების აუცილებლობა გამოიწვია. 2008 წლის 24 იანვარს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნის მიზანი საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის გაღრმავება, საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ დიასპორას შორის ურთიერთობის ხელშეწყობა და ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერა იყო. მწირი ბიუჯეტისა და სამი ათეული სპეციალისტის პირობებში, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა უმნიშვნელოვანესი ინიციატივების განხორციელება მოახერხა, თუმცა ეს სტრუქტურის არსებობისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის გაუქმებისა და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შერწყმის შესახებ განაცხადა. გიორგი მარგველაშვილმა მინისტრს გელა დუმბაძეს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და მისი ხელმძღვანელობით უწყების მიერ მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა:

„ჩვენ ვაკეთებთ სტრუქტურულ ცვლილებას და საგარეო საქმეთა სამინისტროში იქნება ეს უმთავრესი მიმართულება გამომდინარე იქიდან, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს ის რესურსი, რომელიც ამ მიმართულებით უნდა დაიხარჯოს და ჩვენ კიდევ უფრო გავაფართოვებთ ამ მიმართულებით საქმიანობას, რათა თითოეული ჩვენი თანამოქალაქე იყოს ჩენი ქვეყნის განუყოფელი ნაწილი. მინდა აღვნიშნო ისეთი მიღწევები, როგორიც იყო თურქეთში ქართული ენის სწავლების დაშვება. ეს იყო ამ სამინისტროს მუშაობის შედეგი.“ „გელა დუმბაძემ ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივები განახორციელა მინისტრობის პერიოდში. ეს იყო ჩვენი თანამოქალაქეების უფასოდ გადმოსვენება სამშობლოში და სამშობლოს მიწას მიბარება, რაც დიდი შვება იყო ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებისთვის. მან მნიშვნელოვანი, წვლილი შეიტანა ლევილის მამულის საქართველოსთვის დაბრუნებაში იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან ერთად და ეს იყო მართლაცდა ისტორიული მოვლენა საქართველოს უახლეს ისტორიაში, როდესაც საქართველოს დაუბრუნდა ლევილის მამული.“— განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

სამინისტროების ოპტიმიზაციამ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. „დიასპორის სამინისტრო თუ გაუქმდება, ჩვენ საფლავში არ ჩავყვებით, რადგან მისი შექმნა თავიდანვე მავნე იდეა იყო.“ განაცხადა „რესპუბლიკური პარტიის“ წევრმა ლევან ბერძენიშვილმა.

საპირისპირო მოსაზრება აქვს ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას: „დიასპორის სამინისტროს გაუქმება არასწორად მიმაჩნია, რადგან საქართველო დღეს დიასპორის კუთხით, დიდი გამოწვევების წინაშეა. დიასპორა უნდა იყოს ქვეყნისთვის პრიორიტეტი და როცა დიასპორის სამინისტრო დაგვყავს საელჩოების დონეზე, ეს გაუმართლებელია,“ — განაცხადა არჩილ გაზარდიამ.

რაც შეეხება დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოზიციას, გელა დუმბაძე ოპტიმისტურად არის განწყობილი და მომხდარს მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში განიხილავს: „მოხდა შერწყმა სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და მე მინდა ყველა ჩვენს პარტნიორს და მეგობარს მოვუწოდო, ეს თემა განიხილოს მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში, იმიტომ, რომ ეს პროფესიონალთა ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბდა ჩვენი სამსახურის კედლებში წლების განმავლობაში, გააგრძელებს მუშაობას უფრო მაღალ გემბანზე, აღიჭურვება უფრო მაღალი დიპლომატიური სტატუსით და ამ თემებს ექნება უფრო დიდი გამოძახილი“ - განაცხადა გელა დუმბაძემ.

როგორ აისახება სამინისტროს გაუქმება უცხოეთში მყოფი ქართული დიასპორის ცხოვრებაზე, რატომ აღიქვამს ერთი სამინისტროს მეორესთან შერწყმას „უფრო მაღალ გემბანზე“ გადასვლად და რა სამომავლო გეგმები აქვს დიასპორის საკითხებში ყოფილ სახელმწიფო მინისტრს? ამ და სხვა თემებზე გელა დუმბაძე გვესაუბრა:

— მე ამას ტრანსფორმაციას დავარქმევდი და არა გაუქმებას. წარმოიდგინეთ, აპარატი მხოლოდ 1 200 000 ლარიანი ბიუჯეტით არსებობდა, რაც რეალურად, ერთი საელჩოს ბიუჯეტია. საგარეო საქმეთა სამინისტრო კი უზარმაზარი ორგანიზაციაა, რომელსაც საელჩოების და საკონსულოების დიდი ქსელი აქვს. ჩვენ ყოველთვის დინამიკაში ვახორციელებდით მუშაობას. დიასპორულ ორგანიზაციებთან, ლეგალებთან და არალეგალებთან შეხვედრის დროს, საელჩოს შენობას, რესურსს და კავშირებს ვიყენებდით და ფაქტობრივად, ვინაწილებდით ერთი დიდი სფეროს ფუნქციას. ამა თუ იმ ქვეყანაში რაღაც პრობლემის მოგვარება რომ გვინდოდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს ვწერდით, ახლა კი თვითონ საგარეო საქმეთა სამინისტროს შიგნით არსებული რესურსით, არსებული გამოცდილების გამოყენებით, ახალი პროგრამებისა და ხედვების ჩართვით აწარმოებენ დიასპორასთან ურთიერთობას და ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ.

— რადგან დაფინანსება ახსენეთ, იქნებ გვითხრათ, რატომ ჰქონდა ჩვენი დიასპორის სამინისტროს მილიონ ორასი ათასიანი ბიუჯეტი, როცა მეზობელი სომხეთის ანალოგიური სტრუქტურის ბიუჯეტი სამი მილიონი დოლარია და მეზობელი აზერბაიჯანის დიასპორის სამინისტრო ნახევარი მილიარდი დოლარით ფინანსდება?

— აზერბაიჯანში სამინისტრო არ არის. ესაა სპეციალური სამსახური, რომელსაც „სოკარი“ძალიან ეხმარება. დამოუკიდებელი სამინისტრო აქვს სომხეთს, რომელსაც ნამდვილად აქვს ჩვენზე ექვსჯერ მეტი ბიუჯეტი, თუმცა, აქ საუბარი დაფინასებაზე კი არა, გამართულ მექანიზმებზეა. ევროპის განვითარებულ ქვეყანაში დიასპორის სეგმენტი საგარეო საქმეთა სამინისტროს შიგნითაა და მინისტრის მოადგილე კურირებს. კონსტიტუციით განსაზღვრულია, რომ ეს სამსახური დავალებებს და რეკომენდაციებს აძლევს კულ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

ტურისა და განათლების სამინისტროებს, სხვა ორგანიზაციებს და ისინი ასრულებენ. ამას თავის დროზე, იქაც დაჭირდა ტრანსფორმაცია, სიტუაციების მორგება და სხვადასხვა მხარის ჩართულობა.

— იქნებ, ქართულ დიასპორასთან თქვენი ურთიერთობისა და განსაკუთრებით დასამახსოვრებელი პროექტების შესახებ გვიამბოთ?

— როცა დიასპორაზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვყოთ ორი მიმართულება: დაახლოებით მილიონ ნახევარი ადამიანისგან შემდგარი თანამედროვე დიასპორა, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. თანამედროვე დიასპორის ძირითადი კონცენტრაცია რუსეთის ფედერაციაში, იტალიაში, საბერძნეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშია. რაც შეეხება ისტორიულ დიასპორას, ის ძირითადად, თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანშია (კახისა და ზაქათალას რაიონი) ჩვენი საქმიანობა ორი ძირითადი მიმართულებით ვითარდება: ეროვნული თვითმყოფადობისა და ენის შესანარჩუნების მიზნით, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების დახმარება და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა. ჩვენ ვმართავდით შეხვედრებს და ვხვდებოდით ადამიანებს მიუხედავად მათი პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსისა. მე გამოვყოფდი იტალიის ქალაქ ბარში გამართულ შეხვედრას, რომელსაც 410 ადამიანი დაესწრო. ამ ადამიანებთან დიალოგის გზით, ვსწავლობდით პრობლემატიკას და შემდეგ ვიწვევდით უწყებათაშორის საბჭოს საგარეო საქმეთა, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, კულტურის, განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროების მონაწილეობით. სწორედ ასეთ განხილვებს მოჰყვა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარება, როგორიც უცხოეთიდან მიცველებულთა უფასო გადმოსვენებაა. ჩვენს მიერ საჯაროდ განხილული პრობლემების შესწავლის, სამთავრობო, საპარლამენტო და მედიატრიბუნებზე გაჟღერების შემდეგ, ეს საშვილიშვილო საქმე მოგვარდა და მიცვალებულთა უფასოდ გამოსვენება ჩვენმა ხელისუფლებამ თავის თავზე აიღო. დარწმუნებული ვარ, რომ სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობა და პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღება მომავალშიც გაგრძელდება, მით უმეტეს, რომ მიხეილ ჯანელიძისა და მისი მოადგილის ზვიად გონაძისაგან პრობლემებით დაინტერესების ხარისხი ძალიან მაღალია. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში ვმუშაობთ ამ საკითხებზე და მე მათ დეტალურად გავაცანი თითოეული თანამშრომლის ბიოგრაფია, პროფესიონალიზმი და უნარები. ვმუშაობთ, რომ მათი მაქსიმალური რაოდენობა იყოს დასაქმებული საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალ დეპარტამენტში, რომელსაც პრემიერ მინისტრმა წამყვანი თემა უწოდა. დარწმუნებული ვარ, რომ პროფესიონალებს გუნდი, რომელიც ჩემი თუ ჩემი წინამორბედების ხელმძღვანელობის დროს შეიქმნა, წარმატებით გაართმევს საქმიანობას თავს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

— თავად სად გააგრძელებთ მოღვაწეობას?

— მე საკადრო დიპლომატი გახლავართ. მიმუშავია ექვს სხვადასხვა საელჩოში, საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემი ცხოვრების 16 წელი მაქვს გატარებული და სავარაუდოდ, დაებრუნდები დიპლომატიას.

— შარშან, როცა პრემიერისგან ერთკვირიანი შვებულება ითხოვეთ და ვეჯინის მამათა მონასტერში წახვედით, ბევრმა თქვა, რომ მინისტრობამ დაგღალათ და წასვლის მიზეზს ეძებდით..

— მე არასოდეს მიხსენებია სიტყვა დაღლა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს.. ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ჩემმა სამშობლომ საშუალება მომცა, რომ რამდენიმე კარგი საქმე გამეკეთებინა. მიცვალებულთა გადმოსვენების გარდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ლევილის მამულის საქართველოსთვის დაბრუნება და თურქეთის ტერიტორიაზე ქართული ენის სწავლების ოფიციალურ დაშვება, რაშიც ღირსეული მონაწილეობა გვაქვს მიღებული. ჩვენ შევქმენით ახალი ფორმატები, სამინისტრო გახდა საერთაშორისო დიასპორული ჩართულობის ალიანსის წევრი და ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორი აღმოსავლეთ ევროპაში, რაც სწორედ ამ უმაღლესი დიასპორული ლიგის მხრიდან, ჩვენი აღიარებაა. ბრწყინვალე ურთიერთობები გვქონდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რაც აუცილებლად გაგრძელდება. გამოვეცით უამრავი ლიტერატურა, რომელიც პროგრესული ქვეყნების დიასპორულ გამოცდილებას ეხებოდა. გამოვეცით 1924 წლის აჯანყებაზე და საქართველოს პირველ რესპუბლიკაზე. გავაკეთეთ ციფრული ჟურნალი და დიასპორული ინვესტორის გზამკვლევი, რომელსაც უამრავი მნახველი ჰყავს.

— წარმატებას გისურვებთ ახალ საქმიანობაში და იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ტრანსფორმაცია, როგორც თავად უწოდეთ, დიასპორის ინტერესებს არ დააზარალებს.

— არც ერთ შემთხვევაში. დიასპორას ექნება დეპარტამენტი უფრო მაღალი კლასის ორგანიზაციაში. ჩვენს ბოლო ფორუმზე, რომელიც 17-18 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ ყველა ადამიანი და ყველა წელში გამართული ორგანიზაცია მუდმივად მზად უნდა იყოს სიახლეებისთვის. მებრძოლ ადამიანებს სიახლეების არ ეშინიათ. ისინი ვითარდებიან და ახდენენ ადაპტაციას ახალ რეალობასთან. სწორედ ამ პათოსით ვესაუბრებოდი ჩემს თანამშრომლებს ყოველ დღე და ამიტომ ისინი დღეს ლაღები და წელგამართულები არიან. დიასპორის სამინისტრომ, წლების განმავლობაში, როგორც ერთად შეკრულმა ოჯახმა შევძელით სახელმწიფოსთვის სასარგებლო საქმე გვეკეთებინა, რითაც ძალიან ვამაყობთ. ვფიქრობ, მთავარი ესაა..

ნელი თორდია
571 35 36 88

ლია ელიავა:
ნუ ეძებთ სხვა დამნაშავეს – ლარის გაუფასურება თავიდან ბოლომდე ეროვნული ბანკის ბრალია!

გვესაუბრება საბანკო საქმის ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა:

— ქალბატონო ლია, ლარი კვლავ მკვეთრად გაუფასურებას განაგრძობს. არჩევნებამდე „ეროვნული ბანკი“ პროცესებში ჩაერია და ლარი მეტ-ნაკლებად გამყარდა, თუმცა არჩევნების შემდეგ, სიტუაციის დასასტაბილურებლად თითსაც არ ანძრევს. ეს რით აიხსნება?

— „ეროვნული ბანკი“ პროცესში არ ერევა იმიტომ, რომ იცის, ლარის კურსის ვარდნა შეიძლება უსასრულობამდე გაგრძელდეს და მას კი უბრალოდ, ფიზიკურად არ გააჩნია ხელთ იმდენი სავალუტო რეზერვი, რომ ის კურსის მხარდაჭერაზე დახარჯოს. თქვენ იცით, რომ სავალუტო რეზერვების ლომის წილი – 80-90% უცხოურ ფასიან ქაღალდებში – სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში, რაღაც ფონდებში, კომერციულ ბანკებშია განთავსებული, ანუ, ფაქტობრივად, „ეროვნულ ბანკს“ სულ ხელზე რამოდენიმე ასეული მილიონი დოლარი აქვს, დანარჩენი 2 მილიარდი დოლარი უცხოურ ქაღალდებშია გაბნეული, ხოლო რაც მას ხელთ გააჩნია, ვარაუდობს, რომ ლარის კურსის დასტაბილურებისათვის არ ეყოფა. ამიტომ, თავს არ იწუხებს, რათა ლარის კურსის ვარდნა შეაჩეროს. ასე, რომ მიზეზი მარტივია, რასაც „ეროვნული ბანკი“ შემდეგი მოტივით ასაბუთებს – თითქოს, ლარი თავისუფალ ცურვაში არის, ანუ მცურავი გაცვლითი კურსი გვაქვს და პროცესში ჩარევა საჭირო არ არისო. არადა, „ეროვნული ბანკის“ ჩაურევლობა სავალუტო კრიზისს ქმნის. უკვე ორი წელია, ქვეყანაში, სავალუტო კრიზისი მძვინვარებს, რაც ძალიან სერიოზულად აზარალებს ეკონომიკას და მოსახლეობას. ფაქტობრივად, გამოდის, რომ „ეროვნულმა ბანკმა“ თავის უცხოურ ვალდებულებებს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური სიჯანსაღე და მოსახლეობის კეთილდღეობა ანაცვალა.

— როგორც ირკვევა „ეროვნულ ბანკს“ თავის შეწუხება არ უნდა, მაშინ რა არის ამ ჩიხიდან გამოსავალი?

— „ეროვნულ ბანკს“ შეუძლია გამოიყენოს ადმინისტრაციული მეთოდები, რათა ლარის კურსის ვარდნა შეაჩეროს. ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ადმინისტრაციული მეთოდი სავალუტო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს, რომლის გამტარებელიც, კანონის თანახმად, „ეროვნული ბანკია“, რაც გახლავთ კომერციული ბანკებისათვის, გარკვეულ თანხამდე, უცხოური გადარიცხვების, ვთქვათ, დღეში 1 მილიონ ან ნახევარ მილიონ დოლარამდე შეზღუდვა. ფაქტობრივად, ეს გადარიცხვების აკრძალვა არ არის, არამედ მათი დანაწევრება და დროში გაწელვა. თუ „ეროვნული ბანკი“ ასეთ ნაბიჯს გადადგამს, ეს ლარის კურსის ვარდნის შეჩერებას, მის დასტაბილურებას გამოიწვევს და ყველა ეკონომიკურ პროცესზე საკმაოდ პოზიტიურად აისახება. ამის გაკეთება მხოლოდ „ეროვნულ ბანკს“ შეუძლია, რისი უფლებაც მას კანონით აქვს მინიჭებული, თუმცა, რამდენად არის ამის გამკეთებელი, ეს სხვა საკითხია.

— ჩვენ ახლა „ეროვნული ბანკის“ უფლება-მოვალეობებზე ვისაუბრეთ, რასაც იგი თავს არიდებს. მაგრამ თავად ლარის გაუფასურების მიზეზი, ამჯერად, რა იყო?

— როგორც 2014 წლის ნოემბერში, ასევე, მთელი 2015 წლის მანძილზე და მთლიანად 2016 წლის განმავლობაში ლარის გაუფასურებას საფუძვლად უდევს ქვეყნიდან კაპიტალის გადინება. 2015 წლის ბოლომდე, პრაქტიკულად, ყველა განვითარებადი ქვეყნიდან, კაპიტალის გადინებას, საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. შემდგომ ეს პროცესები შეწყდა, მაგრამ საქართველოდან კაპიტალის გადინებამ ძალიან მძიმე სავალუტო კრიზისი დატოვა, რამაც ეკონომიკაზე ნეგატიურად იმოქმედა და უკვე გაუარესებული ეკონომიკური პარამეტრების შედეგად, ქვეყანას უცხოური ვალუტა დააკლდა. ანუ, ერთი მხრივ, კაპიტალმა გაქცევა გააგრძელა, ვინაიდან აქ თავისი მყარი შემოსავლის წყაროებს უკვე ვეღარ პოულობდა, ხოლო მეორე მხრივ, უცხოური ვალუტის შემოსვლა შემცირდა. როგორც იცით, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად მისი მოცულობის ზრდისა ექსპორტიდან შემოსავლები შემცირდა. ეს, აშკარად, იმაზე მეტყველებს, რომ ექსპორტიორებმა ქვეყანაში ვალუტა არ შემოიტანეს და უცხოეთში დატოვეს. ამ ტენდენციას უკვე საყოველთაო ხასიათი გააჩნია. ეს არის მიზეზი.

— როგორც თქვენ საუბრობთ, სახეზეა ქვეყნიდან კაპიტალის არაეკონომიკური და ეკონომიკური გაქცევა. რა ფორმით არის ეს ჩვენთან გამოხატული?

— დიახ, ამას ეკონომიკური საფუძველიც აქვს და არაეკონომიკურიც ანუ, წმინდა სპეკულაციური. მნიშვნელოვანი არის, რომ ეს საკითხები მთავრობისა და „ეროვნული ბანკის“ მიერ გასაჯაროვდეს. მათ, აუცილებლად, უნდა შეისწავლონ: ვისი კაპიტალი, სად, რა მიზეზით გარბის ასე დაჩქარებული ტემპებით, რატომ არ შემოდის ქვეყანაში საკმარისი ვალუტა, ხომ არ იდება გარიგებები, რომლებიც შემდეგ არ სრულდება, რაც კაპიტალის გადინების ერთ-ერთი ფორმაა. ასევე, კაპიტალის გადინების ფორმაა ისიც, რომ ექსპორტიორებს ვალუტა არ შემოაქვთ, მას სრული მოცულობით უკან არ აბრუნებენ. გარდა ამისა, ქართველები განვითარებული ქვეყნის ბიზნესმენებს კონსულტაციას უწევენ. ესეც, აშკარად, კაპიტალის გადინების ფორმაა. ანუ, მთავრობამ და „ეროვნულმა ბანკმა“ ამ საკითხებზე უნდა იმუშაონ. პროცესები თვითდინებაზე კი არ უნდა მიუშვან და მერე, ხალხი დააიმედონ – ლარი მალე დასტაბილურდებაო. ამას შესაბამისი სახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმების ჩამოყალიბება და ამოქმედება სჭირდე-

4 ბ.

ნუ ეძებთ სხვა დამნაშავეს – ლარის გაუფასურება თავიდან ბოლომდე ეროვნული ბანკის ბრალია!

„ეროვნული ბანკის“ მეთოდოლოგია ლართან მიმართებაში არასწორი, მცდარი, მახინჯია და მას აუცილებლად, გამოსწორება სჭირდება

3 გვ.

ბა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ამ მექანიზმებზე საერთოდ, საუბარიც არ არის. მთავრობის მხრიდან, აბსოლუტურად, ვერ ვხედავ ინიციატივებს. კი, ზოგად დონეზე რაღაც გაჟღერდა, მაგრამ კონკრეტული გეგმა არ დადებულა. ის გეგმა, რაზეც მთავრობა და „ეროვნული ბანკი“ საუბრობს, მის განხორციელებას ანუ, დედოლარიზაციას, ამ გეგმის შემუსავებას, მერე მის გააზრებას, წლები სჭირდება. სანამ წლები გავა, მანამ რას აპირებს ხელისუფლება, აბსოლუტურად, გაურკვეველი, ბურუსით მოცულია.

– ქალბატონო ლია, ბოლო დროს კურსის მკვეთრი ცვლილება ხშირად ფიქსირდება. მაგალითად, დილით, კურსი 2.44-ია, საღამოს უცებ, 2.49 ხდება. ეს რყევები ხელოვნურად ხომ არ ხდება მავანის მიერ დიდი ფულის საკეთებლად?

– ბლუმბერგზე გარიგებები, ყოველთვის, განსხვავებული ღირებულებებით არის დადებული. მერე, როდესაც „ეროვნული ბანკი“ საშუალო კურსს ითვლის, იგი ყველა სახის კურსს ერთმანეთში კრებს, მას თავისი მეთოდოლოგია აქვს შემუშავებული და ასე გამოჰყავს საშუალო კურსი. გარიგება შეიძლება იყოს 2.44 და შეიძლება იყოს 2.52, ამის საშუალო 2.48 გამოდის, ეს პირობითად. ასე, რომ აქ გასაკვირი არაფერი არ არის – ზოგი კომერციული ბანკი ვალუტას ძვირად ჰყიდის, ზოგი – შედარებით იაფად, მაგრამ, საერთო ჯამში, ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტენდენცია მაინც აშკარად გამოკვეთილია. თვითონ ლარის კურსის დადგენის მეთოდოლოგია, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისადმი, მისადაგებული საერთოდ არ არის. ანუ, ის მეტწილად სპეკულაციულ პროცესებზეა დამოკიდებული. ამიტომ, „ეროვნული ბანკი“ ვალდებულია ლარის კურსწარმოქმნა სპეკულაციური პროცესებისგან გაწმინდოს და რეალური კურსი ჩამოაყალიბოს, რომელიც მართლაც ჩვენს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე იქნება დაყრდნობილი და არა რამოდენიმე ბიზნესმენის სასწრაფო საჭიროებაზე უზარმაზარი კაპიტალი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაიტანოს. „ეროვნული ბანკის“ ეს მეთოდოლოგია არასწორი, მცდარი, მახინჯია და მას აუცილებლად, გამოსწორება სჭირდება. თუ „ეროვნული ბანკი“ ლარის კურსწარმოქმნის მეთოდოლოგიას სპეკულაციური პროცესებისგან გაასუფთავებს, ჩვენ ნამდვილად აღარ გვექნება ლარის კურსის ასეთი მკვეთრი რყევები, როგორიც ახლა გვაქვს.

– როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ლარის მკვეთრი გაუფასურება, როგორია თქვენი პროგნოზი?

– ლარის კურსის პროგნოზი ისეთ ქვეყანაში როგორიც საქართველოა, ძნელია. მით უმეტეს, ისეთი „ეროვნული ბანკის“ პირობებში, რომლის საქციელის პროგნოზი აბსოლუტურად, შეუძლებელია. თავად, ეს ორგანიზაციაა დაუპროგნოზებელი და შესაბამისად, რა მოუვა ლარის კურსს, ამის პროგნოზიც, ძალიან რთულია. მაგრამ შემიძლია ვივარაუდო, რომ ლარის ვარდნა გაგრძელდება, შეიძლება ოდნავ გამყარდეს, შემდეგ ისევ დაიწყოს ვარდნა. სანამ ქვეყნიდან კაპიტალის გადინება არ შეწყდება, ეს ვარდნა გაგრძელდება. „ეროვნულმა ბანკმა“ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს და სავალუტო ინტერვენციების მეშვეობით ლარის კურსის ვარდნა შეაჩეროს.

– რაც შეეხება სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს. რა გავლენას ახდენს ამ პროცესებზე აღნიშნული ორგანიზაცია?

– სავალუტო ფონდი „საქართველოს ეროვნულ ბანკს“ ისეთ რჩევებს აძლევს, რომელიც უფრო განვითარებული ქვეყნებისთვის არის გამოსადეგი, ანუ სხვა ტიპის ქვეყნებისთვის. ჩვენი როგორც რეფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, ასეთი რჩევები არაფრის მომცემია. მაგალითად, ისეთი რჩევა როგორიცაა თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსი, აბსოლუტურად, გამოუყენებადი, მავნეა. რჩევა კარგია თუ ის გონივრულია, მაგრამ როდესაც მრჩეველს ადგილზე არ ხვდება ისეთი ადამიანი, რომელიც იტყვის – კი, მაგრამ ამას რომ მირჩევ, რა მოჰყვება მერე ამ ყველაფერს? ანუ, „ეროვნულ ბანკს“ არგუმენტები არ გააჩნია, რათა სავალუტო ფონდს აუხსნას, რომ ჩვენს ეკონომიკაში ამის გაკეთება არ შეიძლება. „ეროვნული ბანკი“ ასე დინებით რომ მიჰყვება სავალუტო ფონდის რჩევებს, სწორედ იმიტომაც არის, რომ საფინანსო სექტორში სერიოზული პრობლემები სისტემატურად გვაქვს.

– წელან, თავისუფალი მცურავი კურსი ახსენეთ. ხშირად მსმენია, რომ რადგან „ეროვნული ბანკი“ ჩარევებს ახორციელებს, ეს უკვე თავისუფალი მცურავი კურსი აღარ არის. რეალურად, რა კურსი გვაქვს?

– ჩვენთან არის მართვადი მცურავი კურსი, ანუ, „ეროვნული ბანკი“ პერიოდულად ჩარევებს ახორციელებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით მცურავ კურსსა და თავისუფალ მცურავ კურსს შორის არსებობს განსხვავება. თავისუფალი მცურავი კურსი ნიშნავს, რომ ცენტრალური ბანკი კურსის წარმოქმნაში საერთოდ არ ერევა. მცურავი კურსი კი ითვალისწინებს იმას, რომ ცენტრალურმა ბანკმა შეიძლება პერიოდულად კურსის კორექტირება მოახდინოს. მაგრამ ყველას ავიწყდება, რომ ჩვენ, მახინჯი საბაზრო ეკონომიკა გვაქვს. ჩვენი საფინანსო ბაზრები განუვითარებელია, აქ, არ არსებობს ბირჟები. რაც მთავარია, ჩვენთან არ არსებობს სავალუტო ბირჟა. ეს სავალუტო პროცესების მიმდინარეობა მხოლოდ კომერციულ ბანკებში და სავალუტო კურსის მხოლოდ ასე ფორმირება, არასწორი მეთოდოლოგიაა. თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოში, სავალუტო ბირჟა რომ არსებობდეს, ბიზნესმენები კომერციულ ბანკებში კი არა, არამედ თავიანთ სახსრებს სავალუტო ბირჟაზე უცხოურ ვალუტაში გადაახურდავებდნენ და კომერციულ ბანკებს გადასარიცხად მერე მისცემდნენ. ასეთ შემთხვევაში, უკვე პრაქტიკულად, ლარზე ზეწოლა და ლარის ასეთი ვარდნა, გამორიცხულია. ამიტომ, ქვეყანაში სავალუტო ბირჟა, აუცილებლად, უნდა არსებობდეს. გარდა ამისა, სავალუტო ბირჟის შექმნას გარკვეული კაპიტალი სჭირდება. „ეროვნულ ბანკს“ შეეძლო სავალუტო ბირჟა თვითონ ჩამოეყალიბებინა, რისთვისაც გარკვეული სახსრები დაეხარჯა და მერე, წილობრივად ყველა მსურველზე გაეყიდა, რითაც თავის სახსრებსაც ამოიღებდა და ქვეყნის საფინანსო სექტორსაც გააჯანსაღებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის სურვილი არც გამოუთქვამთ და მგონი ამაზე არც ფიქრობენ.

– რამდენად ახდენს ლარზე ზეწოლას ისიც, რომ ჩვენ ადგილობრივი წარმოება საკმარისად განვითარებული არ გვაქვს, ძირითადად, შემოტანილ პროდუქციაზე ვართ ორიენტირებული, ინვესტიციებში დაბანდებული თანხები კი უცხოელ ინვესტორებს ისევ თავიანთ ქვეყნებში გააქვთ, თანაც დოლარში.

– დიახ. ფაქტობრივად, გამოდის, რომ ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტა ცოტაა და ისევ გადის ქვეყნიდან იმპორტის ან კაპიტალის გაქცევის მეშვეობით. ჩვენთან, რაც შემოდის ადგილზე არაფერი ჩერდება და ამიტომაც არის, რომ ქვეყანას, უფრო ზუსტად კომერციულ ბანკებს საოპერაციოდ უცხოური ვალუტა ქრონიკულად აკლიათ. ეს ქვეყნის ეკონომიკის ძალიან მახინჯი სტრუქტურაა. ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოსვლა, ძირითადად, არამწარმოებლურ ხასიათს ატარებს. ამიტომაც, იგი ქვეყნიდან უცებ ნიავდება და ყოველთვის მისი მწვავე დეფიციტი დგას-ხოლმე. რაც შეეხება სავალუტო კურსის რეგულირებას, ეს მხოლოდ „ეროვნული ბანკის“ პრეროგატივაა.

– ქალბატონო ლია, რამდენად პრობლემატურია ის საკითხიც, რომ ლარი ჩვენთან გადახდის ერთადერთი საშუალება არ არის. ეროვნულ ვალუტას უფრო მეტი პატივი არ უნდა ვცეთ?

– დიახ, ლარს დაგროვების ფუნქცია არ გააჩნია. ასევე, არ გააჩნია ავტორიტეტი, მოთხოვნა ლარზე არის მინიმალური. ეს არის იმის შედეგი, რომ „ეროვნული ბანკი“ არ ზრუნავს, რათა ლარი მთელს ქვეყანაში გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება იყოს, ანუ, ყველა სახის გარიგებები ლარში უნდა იდებოდეს, მათ შორის, გარიგებები უძრავ ქონებაზე, ავტომობილებზე, ასევე, სესხებიც მხოლოდ ლარში უნდა გაიცემოდეს, გარდა იმპორტისა და ექსპორტის სესხებისა. ამ საკითხის დარეგულირება მთლიანად „ეროვნული ბანკის“ ხელშია და ამისათვის, კანონით ყველა ბერკეტი, მას აქვს მინიჭებული. სამწუხაროდ, იგი ამ ბერკეტს ვერ იყენებს. ამიტომაც არის საქართველოში დოლარიზაცია ძალიან მაღალი – 70%. მიუხედავად „ეროვნული ბანკის“ მიერ გადადგმული ნაბიჯებისა, დოლარიზაციის შემცირების მიმართულებით, საქმე წინ ვერ წავიდა. შესაბამისად, „ეროვნული ბანკი“ უნდა დაფიქრდეს და ქვეყანაში დოლარიზაციის დონის შესამცირებლად სხვა მეთოდები გამოიყენოს.

„ეროვნული ბანკის“ პრეროგატივაა, რაც მას კანონით აქვს მინიჭებული. მთავრობას არ შეუძლია, არ გააჩნია არც ბერკეტი და არც კანონიერი უფლება ფულად-საკრედიტო სფეროში ჩაერიოს. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ეროვნული ბანკის პრობლემაა.

– ჩვენთან მთელი ეკონომიკა საბანკო სექტორზე მუშაობს, ეს უკანასკნელი კი თითსაც არ ანძრევს იმისთვის, რომ თუნდაც, ეკონომიკას რაღაც იაფი სესხებით დაეხმაროს.

– ის, რომ კომერციული ბანკები და მთლიანად საფინანსო სექტორი მხოლოდ თავის თავზე მუშაობენ, ეს, რა თქმა უნდა, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივ ბიზნესს განვითარების საშუალებას ვერ აძლევს. ამის გარდატეხა „ეროვნულ ბანკს“ შეუძლია როგორც ეკონომიკური ასევე, ადმინისტრაციული მეთოდებით. ასეთი სახის პოლიტიკები გატარებული ჰქონდა სხვა ქვეყნებს და მათ საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწიეს. რატომ არ აკეთებს ამას ეროვნული ბანკი, ჩემთვის გაუგებარია.

– საუბრობენ, რომ ჩვენგან განსხვავებით სხვა ქვეყნებში თითქმის არსად არის ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთი. ეს რით არის განპირობებული?

– ეს განპირობებულია ჩვენი ბაზრის ველურობით, დაურეგულირებლობით, კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების რეგულირების არაადეკვატურობით. ეს წმინდა სახელმწიფოებრივი პრობლემაა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ზაურ კალანდია:

რა დაუშავა შოთა რუსთაველმა გიორგი მარგველაშვილს, რომელსაც 2016 წელს რუსთაველის 850 წლის იუბილეს ჩატარება დაავიწყდა?!





რუსთაველი საქართველოაო, — ამბობს ვაჟა. უფრო ზუსტად, რუსთაველი და საქართველო ერთია, ანუ ტოლფარდიო!

1876 წელს ახალგაზრდა იონა მეუნარგია დიდ ფრანგ მწერალს ვიქტორ ჰიუგოს შეხვდა პარიზში. საიდან ბრძანდებიო ყმაწვილო, რომ ჰკითხა მწერალმა, რუსთაველის ქვეყნიდანო, იყო პასუხი.

მსმენიაო, — ჩაფიქრდა ჰიუგო.

მსმენია, მაგრამ არ წამიკითხავსო, აშკარად აღიარა დიდოსტატმა. თარგმნილი არ იყო, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, საქართველო და მისი პირველი მგოსანი გაეგონა.

აი, ამ უწყინარ შეფასებასა თუ წუხილში აღიარებას ვხედავთ, ფრანგი მწერლის აღიარებას ჩვენი ქვეყნისას.

დღეს, ჩვენდა საბედნიეროდ, „ვეფხისტყაოსნის“ სამი თუ ოთხი ფრანგული თარგმანი (ერთ-ერთი თავად იონა მეუნარგიასი) გვაქვს.

რუსთაველი საქართველოს სახეაო, თავმოწონება ვიცით ქართველებმა ჩვენი ქვეყნითაც და ჩვენი საგანძურითაც.

გალაკტიონი უფრო შორს მიდის და ზღაპარშიც გვაჯერებს: რუსთაველი მახსოვს ბავშვიო...

მართალია, ეს წელიწადი რუსთაველის წლად კი გამოგვიცხადა იუნესკომ, მაგრამ ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, არც „ბავშვი რუსთაველი“ გვახსოვს და არც მისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

უკეთესი წიგნი (ან სხვა რაიმე დარგში) ხომ არ შეგვიქმნია და ხომ არ გამოგვრჩა?

მეეჭვება!

1937 წელს, როცა საბჭოთა კავშირი იყო, მისი დედაქალაქი კი მოსკოვი, პოეტის 750-ე წლისთავი იქ აღინიშნა.

თურმე იმ შავბნელ დროში იუბილისთვის მზადება სამი წლით ადრე დაიწყო...

ბევრი იფიქრებს, ალბათ, ეს იუბილე საბჭოეთის იმდროინდელ ბელადს, ქართველ ჯუღაშვილს დასჭირდაო!

ძალიან კარგი თუ დასჭირდა!

ხალხი მოატყუა, შეცდა თუ გემოვნებამ უმტყუნა?!

რუსთაველი ის უკვდავი ფენომენია, ის გენია, ამ მიწაწყალს, სანამ საქართველო ჰქვია და ქართველი ქართველობს, ყოველთვის დასჭირდება!

ღმერთმა გვაშოროს და თუ გადაშენება გვიწერია, ისევ რუსთაველის სიბრძნესა და შაირს, როგორც ასური „გილგამეშს“, მითივით ვიქნებით ჩამოკიდებულნი...

* * *

როგორც მახსოვს, ჩემს ბავშობაში „ვეფხისტყაოსანი“ მე-7 კლასიდან ისწავლებოდა. კი გვასწავლიდნენ, მაგრამ ჩვენ თუ ვსწავლობდით, საკითხავი ეს არის!

ფრიადოსნებიც გვყავდა კლასში, საკმაოდ გონიერნიც და უვიცნიც.

ერთი იყო უტუ მ. საკუთარი სახელი რომ გეკითხა, ბრინჯივით იბნეოდა, წითლდებოდა, ლუღლუღს იწყებდა... ოცნებად „შოფრობა“ ჰქონდა, შესვენებისას თითქოს საოცნებო მანქანის საჭე ეპყრა ხელთ — „ღღღ“-ო, მერხებს შორის მოხერხებულად დაჰქროდა...

გეხსომებათ, რაბათის ციხის ეზოდან ჩვენმა ყოფილმა პრეზიდენტმა „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის პირველი სტროფი რომ წაიკითხა, შემეცოდა და რატომღაც კლასელი უტუ მ. გამახსენდა...

სად ჩემი ლენჩი კლასელი და სად „მსოფლიო დემოკრატიის მზეჭაბუკი“, ბევრი გამინაწყენდება და სწორადაც!

პოეზია არ უყვარსო, ამას ვერ ვკადრებ, მის აღმატებულებას.

მე, უბრალოდ, რუსთაველს რომ არ სწყალობს თუ არ უყვარს, ამას არ ვპატიობ, თორემ თავისი საყვარელი პოეტი, ცნობილი მეპურე სერგი კაკალაშვილის ათსტროფიანი ლექსი კარგად გეხსომებათ, საქართველოს პარლამენტში უმაღლესი ტრიბულიდან რა რიხით და მხატვრული ოსტატობით ჩაარაკრაკა, წარბი არ შეხრია, არც წაბორძიკებულა... წინათქმა ასეთი წაუმძღვარა, როგორ ეწერათ და ემსახურათ ქვეყნისთვის არსებულ თუ მომავალ მწერლებს...

ბოლო დროს მსგავს უცნაურობებს დღევანდელი პრეზიდენტიც რომ ავლენს, ეს მაწუხებს.

ჩემი თუ არ გჯერათ, დიდებულ ბათუმელ პოეტს, ბატონ შოთა ზოიძეს მოვუსმინოთ: მარგველაშვილმა რუსთაველის სახელობის ერთადერთი სახელმწიფო პრემია გააუქმაო! მე ამას დოკუმენტურად ვერ დავამტკიცებ, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, პრემია სამ წელიწადში ერთხელ გაიცემა... არადა, მეხუთე წელი დაიწყო, ჯერ კონკურსიც არ გამოცხადებულა...“ პრეზიდენტის უფლებაა, უნდა აკრძალავს, უნდა სოფელ-სოფელ ან სადარბაზო-სადარბაზო ჩამოარიგებს „ღირსების ორდენებივით“...

ბატონი პრეზიდენტი ფილოსოფოსი კაცია და, ვფიქრობ, რუსთაველი მისთვის უცხო არ უნდა იყოს! თუმცა სხვა უცნაურობები სჭირთ ფილოსოფოსთ. რომ ითქვას, „ვეფხისტყაოსანი“ წარსულია, მის მონაწილეობას ვერ ვხედავ ქვეყნის აწმყოსა და მომავალშიო, რა ვქნათ, რომელ მდინარეს მივცეთ თავი... არადა, ის ხალხის (ანუ ჩვენი) რჩეულია და „რიგით მომაკვდავებზე“ წინ და შორს იყურება...

ვაჟას ღაღადისი: რუსთაველი და საქართველო ერთიაო, ჩვენ რომ გვეამაყება და პოეტს ვეთანხმებით, დიდი არაფერია!

ხალხის რჩეული პრეზიდენტები რომ სხვანაირად ფიქრობენ, ეს გვაღელვებს.

რუსთაველის ქვეყანაში რუსთაველის პრემია რომ უქმდება, სხვა რა ვიფიქროთ?

ეტყობა მას ცალკე საქართველო მოსწონს, რუსათველი და რუსთაველიანა — არა!

* * *

ერს რუსთაველი ჰყავდეს და იფიქრო, ღმერთი არ სწყალობსო, გიჟი უნდა იყო!

არადა, რუსთაველიც არ იყო თავის დროზე, ალბათ, უმტრო, მაგრამ რვანახევარი საუკუნის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტებს ასე ეჯავრებოდეთ (?) ქვეყნის პირველი პოეტი, ნამეტანი უხერხულია და სამარცხვინოც!

სხვა რა გითხრათ...

1966 წელს პოეტის რვაასწლიანი იუბილე იუნესკოსა და საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ძალისხმევით არანაკლებ მასშტაბური და გრანდიოზული იყო.

იმ წელს ორმოცდაათი სახელმწიფოს ინტელექტუალთა და გამოჩენილ მწერალთა დეკადა სტუმრობდა საქართველოს!

მართალია, წლევანდელი წელიწადი იუნესკომ ისევ რუსთაველის წლად გამოგვიცხადა, მაგრამ, გამოდის, ან რუსთაველზე ვართ განაწყენებული ან იუნესკოზე.

სხვა რა ვიფიქროთ, რითი ვინუგეშოთ თავი, როცა დეკემბერი კარს მოგვდგომია.

ამ დარჩენილ ორიოდე კვირაში გენიოსი პოეტის იუბილის მოსამზადებლად კი არა ერთი უწყინარი ლექსმწერის, გორელი ფეშანგი ფაშვიბერტყვაძის საღამოს ჩატარებას ვერ მოვასწრებთ.

ამის ღირსნი ვართ ქართველები-მეთქი, ვერ ვიტყვი, თუმცა კულტურის სამინისტროს ნაცვლად ჯაზ-ფესტივალის სამინისტრო რომ გვექნება, ეროვნული მწერალთა კავშირის ნაცვლად — „მაყვლოვანი“, უარესი გვხვდება!

საწუხარ არს ესე!

დიდი თურქობა აჭარაში

(დასასრული. დას. იხ. #43)

ბათუმის ცენტრალურ ქუჩებში განსაკუთრებით შეიმჩნევა მაწანწალა ბოშების სიმრავლე. მეუბნებიან, რომ ესენი არიან მიშა სააკაშვილის დროს თურქეთიდან გადმოხვეწილი თურქი-ბოშები. ბათუმელები ამბობენ, რომ თავიდან აჭარაში 12 ბოშა-თურქი დამკვიდრდა. მას შემდეგ 1000-ობით ჩამოვიდნენ და აქ დაბანაკდნენო. ქალაქში გამრავლდნენ მაწანწალა ბავშვები და ქალები, ისინი განსაკუთრებული აგრესიით, ქურდობით გამოირჩევიანო. მავნებლობენ, აფუჭებენ სკვერებში ნარგავებს, სკამებს, ბილწავენ შადრევნებსო.

უბრალო ჭეშმარიტებაა, უსამშობლო ხალხისთვის სხვისი სამშობლო მოსაობრებელი ადგილია და თუმცა დღეს აქ კარგად გრძნობენ თავს, ხვალ სხვა ადგილას გადაიხვეწებიან, რადგან სამშობლოში მკვიდრობის შეგრძნება მათთვის უცხო რამეა.

თურქული ექსპანსიის შეჩერება აჭარაში დღეს თითქმის შეუძლებელია. ეკონომიკური ბერკეტები მათ ხელშია. ქალაქში არსებობს თურქული უბნები, თურქული დასახლებები.

ეკონომისტების აზრით, ამ „შემოტევის“ შეჩერება მხოლოდ სათანადო კანონმდებლობასა და ეკონომიკურ სანქციებს შეუძლია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უცხოური კომპანიები ე. წ. შავი ბულალტერიით სარგებლობენ თურმე, რითაც მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ სახელმწიფოს.

აჭარელი მამულიშვილები შეშფოთებულნი არიან თურქული კომპანიების მიერ რეგიონში ჰესების მშენებლობის საკითხით. ამბობენ, რომ ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია ქართულ სახელმწიფოსთან, აზიური გაიძვერობით არის შედგენილი და მასში ქართული ინტერესები ნაკლებად არის გათვალისწინებული. კაშხლების მშენებლობები უკვე კარგა ხანია დაწყებულია თურმე, რასაც შედეგად მოჰყოლია წყაროების დაშრეტა რეგიონის სოფლებში. სასმელი და სარწყავი წყალი აღარ არის, რის გამოც ხალხი უკვე აიყარა სოფლებიდანო.

კაშხლების მშენებლობის დროს იჩეხება ტყე, ნადგურდება ბუნება, არავინ არის რეგიონის ეკოლოგიის გულშემატკივარი, თურქები ბარბაროსულად იქცევიან ჩვენს ტერიტორიაზეო, — მიმტკიცებენ ადგილობრივები.

როგორც ვხედავთ, თურქეთის მიერ აჭარის ეკონომიკური ექსპანსია უმაღლეს ფაზაშია.

ახლა ჯერი პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეა.

რუსეთ-თურქეთის ბოლოდროინდელი საერთო პოლიტიკური ინტერესები უფრო და უფრო აშფოთებს აჭარის მოსახლეობას. შიშობენ, ვაითუ, ამ ორმა დიდმა იმპერიამ მოილაპარაკონ და აჭარა გაცვლითი მონეტა გახდესო.

ბათუმელები უკმაყოფილონი არიან ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების უმოქმედობით. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ქალაქის მერია და თვით ავტონომიის ხელისუფლებაც თურქეთის კონსულის თითის დაქნევაზე დადის...

ტაქსს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტთან ვაჩერებ, რადგან უნივერსიტეტთან ხალხია შეკრებილი და მაინტერესებს, რა ხდება. აღმოჩნდა, რომ გროვდება ხელმოწერები ოსმალთა ბატონობისგან აჭარის განთავისუფლების აღსანიშნავი მემორიალის დადგმის მოთხოვნით. ამ ინიციატივით აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირი უკვე კარგა ხანია გამოდის, მაგრამ ვერა და ვერ მიაღწიეს ნებართვას — დაიდგას მემორიალი ქალაქის ცენტრში.

„ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, — მეუბნება მამულიშვილთა კავშირის ხელმძღვანელი **ნიაზ ბოლქვაძე** და დასძენს, ხალხის აზრი გათვალისწინებული უნდა იყოს. ჯერ კიდევ შარშან ვიზრუნეთ იმაზე, რომ პეტიცია ქალაქის საკრებულოს განვხილა. 1200-ის ნაცვლად 3200 ხელმოწერა შევიტანეთ შარშან და წარმოიდგინეთ, უყურადღებოდ დატოვეს. ახლა კი თვით მოსახლეობაში გამოითქვა აზრი, რომ აჭარის მთელმა მოსახლეობამ დააფიქსიროს თავისი მოთხოვნა ხელმოწერებით.

ამ მემორიალის აღმართვით, ჩვენ ვდგამთ ნაბიჯს იქითკენ, რაც სჭირდება ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მომავალს.

თურქეთის სახელმწიფოსთან მეგობრობა საქართველოს სახელმწიფომ დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 90-იანი წლებიდან.

1921 წლამდე საქართველოს ისტორია იყო ოსმალეთის 300-წლიანი ბატონობა.

რომელ მეგობრობაზე ლაპარაკობენ, არ მესმის.

მე-20 ს-ის ბოლოდან რომ იწყება, იმაზე? კი, ბატონო, აღვმართოთ ასეთი ძეგლიც, მაგრამ ნუ დავივიწყებთ ისტორიას“.

აქციას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებიც უერთდებიან.

ქეთი მ. ჯანდაცვის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი: ჩვენმა თაობამ უნდა იცოდეს, რა მოხდა ადრე, რას შეეწირნენ ჩვენი წინაპრები და ამას ჩვენ პატივი უნდა ვცეთ. ოსმალეთის წინაღმდეგ თავგანწირული გმირების საპატივცემულოდ, ეს მემორიალი უნდა დაიდგას. ჩვენ ვიცით, ვინ იყვნენ ჩვენი ქვეყნის მტრები და ვინ არიან მეგობრები დღეს. ჩვენს შემდგომმა თაობებმაც უნდა იცოდნენ ამის შესახებ.

ბევრჯერ კონფლიქტი მომსვლია ბათუმის ქუჩებში თურქ მოქალაქეებთან, რომლებიც უწმაწურ სიტყვებს წარმოთქვამდნენ ქართველი გოგონების მისამართით.

არ მომწონს, ქართველები რომ თურქეთში არიან წასული სამუშაოდ და დამამცირებელ სამუშაოებს ასრულებენ. რატომ ვერ უვლის ჩვენი სახელმწიფო თავის მოქალაქეებს?!

ნინო ჯ. სტუდენტი: — დიახ, ისეთი სიტყვები გამოდის მათი პირიდან, რომ გვრცხვენია.

აი, ქუთაისის ქუჩა, ფაქტობრივად, დაპყრობილი აქვთ.

ჩვენს ქართველებს, აჭარლებს, თავს აწყვეტდნენ, რომ მუსულმანობა მიეღოთ და ქართველობა დაეთმოთ და ახლა თურქების გალაღება მოინდომეს ვიღაცებმა ბათუმში? ეს არ მოგვწონს ჩვენ.

შავკანიანები სტუდენტებიც სწავლობენ ჩვენთან, ქართული ცოტ-ცოტა შეისწავლეს. დღეს გოგონებს გვიმღეროდნენ: მოდი, მოდი, გოგონაო... (იცინიან).

ისინიც კი პატივს გვცემენ.

ქეთი მ.: — შეიძლება ისეთ რამეს ვამბობ, რაც ახლა უჩვეულოა, მაგრამ მე ჩემი საქართველო მიყვარს და არ მომწონს, ჩვენთან სხვა ტომის ხალხი რომ არის გაყოყოჩებული“...

ხელს ვაწერ მოთხოვნას, ბათუმში დაიდგას ოსმალთა ბატონობისგან აჭარის განთავისუფლების და დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისთვის თავდადებულ გმირთა მემორიალი და კვლავ ბატონ ნიაზს მივმართავ:.

— რატომ ჭიანურდება მემორიალის დადგმა, ბატონო ნიაზ?

— ოსმალეთის ხსენებით თურქეთის სახელმწიფოს არ ვაწყენინოთო, მგონი, ასე ფიქრობენ, თუმცა არ იხსენებენ იმას, რომ დღევანდელი თურქეთი თავად აღნიშნავს ოსმალეთის იმპერიის დამხობას.

პირადად მე ვიყავი ამ დღესასწაულის აღნიშვნის დღეს თურქეთში და მივულოცე კიდევაც მშვიდობისმოყვარე თურქებს.

გაჭყლეტილი ბოთლის, შლოპანცების, მამათმავალი კაცების სიყვარულის აღმნიშვნელ ძეგლებს დგამდა წინა ხელისუფლება. ახალმა, თუ თვითონ

არ იწყებს ძველი სისაძაგლეების დემონტაჟს, იმაზე მაინც დაგვრთოს ნება, საშვილიშვილო მემორიალი დავდგათ ჩვენს ქალაქში.

ახლა ველოდებით აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ბატონ **ზურაბ პატარაძესთან** ვიზიტის დასტურს, წარვადგენთ ხელმოწერებსაც, ვნახოთ, როგორ წარიმართება მოვლენები.

რეზო რომანაძე, აჭარის მამულიშვილთა კავშირის წევრი, აჭარის დაზვერვის სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ხელისუფლებას უმალავენ რაღა-რაღაცებს. ეუბნებიან, თითქოს აჭარაში პრობლემები არაა, პრემიერის სტუმრობის წინა დღეს ქალაქი გაწმინდეს ქურდებისგან, მამაძაღლებისგან, პროსტიტუციის კერები დამალეს და მიჩქმალეს, მისი წასვლიდან მეორე დღეს ისევ შეისხა ფრთები უკანონობამ. ანუ შესაძლებელი ყოფილა პროსტიტუციის და სხვა კანონდარღვევების გარეშე არსებობა, მაგრამ არა ერთი დღით, არამედ სამუდამოდ.

ბოლო წლების განმავლობაში აჭარის რეგიონიდან პარლამენტში ისეთი ხალხი ხვდება, გვრცხვენია, პირდაპირ. წინა მოწვევის პარლამენტის აჭარელი დეპუტატი ყრუ-მუნჯი გვეგონა ხალხს, კიდევ კარგი, შევმცდარვართ — ლაპარაკობს თურმე ქალბატონი **ფატი ხალვაში**.

აჭარის გულშემატკივრები გვჭირდება პარლამენტშიც და ხელისუფლებაშიც, თორემ „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში, რომ იტყვიან, სისხლი გვაქვს ჩაქცეული და ამ მთავრობის არაჯანსაღ ოპონირებას არ ვაპირებთ.

სააკაშვილის მმართველობისას გაიყიდა დარჩენილი ბოლო ქარხანა — მანქანათმშენებელი, განადგურდა გემთმშენებელი ქარხანაც...

ეს იყო სახელმწიფო დანაშაულის გარდა, ბიუჯეტისთვის ძირის გამოთხრა.

ბათუმი ჰყვაოდა მაშინ, როცა საზღვაო ტვირთბრუნვები ბათუმის პორტიდან ხორციელდებოდა. გააუქმეს, ჯართად გაყიდეს ყველაფერი და მიზეზად რა მოიტანეს, იცით? მენეჯმენტი არ გვყავდა და ტვირთბრუნვას ვერ უზრუნველვყოფდითო. ჩემი ვაჟი დღეს შორეული ნაოსნობის კაპიტანია. მისგან ვიცი, რომ ეს მოიტანეს მიზეზად...

სააკაშვილის მმართველობის პერიოდში გაყიდეს გემები: „ჟიული შარტავა“ და „ჭაბუა ამირეჯიბი“. რა გვჭირს ასეთი, ყველაფერს როგორ ვყიდით?!

— თუ იცით, დღეს რა მდგომარეობაშია საზღვაო-სანაოსნო პორტი?

— დღეს გვაქვს მხოლოდ ე. წ. საზღვაო ადმინისტრაცია, რომელიც ასე ვიტყვი — არაფრის გამკეთებელი არაა.

ბათუმმა, როგორც საზღვაო ქალაქმა, ფუნქცია დაკარგა.

უზარმაზარი თევზმჭერი ქარხანა არსებობდა.

ახლა თევზს ვყიდულობთ.

გაგიგონიათ, ასეთი რამ?!

შავი ზღვის მთელი აკვატორია სარფიდან ბათუმის ჩათვლით იწმინდება თურქი თევზმჭერებისგან“.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ თურქი მებადურები ბრაკონიერული წესებით, უმოწყალოდ ანადგურებენ აჭარის აკვატორიის წყლებს, აკრძალული ხერხებით იჭერენ თევზს...

იმის გარდა, რომ აჭარის ტერიტორიაზე თურქებს სხვადასხვა ტიპის დაწესებულებები აქვთ გახსნილი, ისინი, ერთგვარ, ლოკალურ თურქულ კულტურულ ავტონომიებს ქმნიან. თურქულ მაღაზიებსა და ბარ-რესტორნებში მხოლოდ თურქები შედიან და ფულის მიმოქცევა კვლავ მათ სასარგებლოდ ხდება.

მოგეხსენებათ, თურქეთში უამრავი ქართველი ცხოვრობს და მუშაობს, მაგრამ ისინი ისე თავისუფლად ვერ გრძნობენ თავს თურქეთის ტერიტორიაზე, როგორც თურქები საქართველოში. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ არც თურქეთში სამუშაოდ წასულ ქართველ მამაკაცს, არც აქაურს, არ შეურთავს ცოლად თურქი ქალი, თურქი მამაკაცები კი მოხარულნი არიან, დაქორწინდნენ ქართველ ქალზე.

პირადად ჩემი ნაცნობი სამი ქალბატონი, სხვადასხვა დროს გაჰყვნენ ცოლებად თურქ მამაკაცებს. რამდენიმე წლის წინ ჩემი მეგობრის დედა დაქორწინდა რიზეში თურქზე, წლეულს ჩემი მეგობარიც დედის კვალს დაადგა და ჰამზა ოზთურქის კანონიერი მეუღლე გახდა...

რა ჰქნას დემოკრატიულმა თურქეთმა, ერთი ანეკდოტის არ იყოს, ალყას ვერ დაგარტყამს და „ქე გვხმარობს“ ისე, როგორც უნდა. მაგრამ საქმემ თუ მოითხოვა, კიდევ გავიმეორებ, ოფიციალურადაც მოინდომებს იმის გაფორმებას, რაც უკვე თავისად მიაჩნია.

შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მე აჭარაში მიმდინარე პროცესების აპოკალიპსური სურათი დავხატე, მაგრამ გაიარეთ ბათუმის ქუჩებში, მიუახლოვდით თურქ ტურისტებს, დაუგდეთ ყური და ნახეთ, რას ეუბნება მათ თავიანთი გიდი: ჩვენ ახლა ვიმყოფებით ყოფილი ოსმალეთის ტერიტორიაზეო.

გადაჭარბებულად ნუ მოგეჩვენებათ — ჩვენი გულგრილობით და ზოგჯერ ანგარების გამო ნელ-ნელა ვკარგავთ აჭარას, რომელსაც მერე გურია და იმერეთის ნაწილიც შეიძლება მიჰყვეს თურქული გეგმის შესაბამისად. არადა, რამდენი ცრემლი და სისხლია ჩაქცეული ამ მიწის შენარჩუნებისთვის.

ახლა 2016 წლის ნოემბერია და ქათქათა ბათუმი ქართული სულით იწონებს თავს. თურქები კი ფიქრობენ: ბათუმი თქვენია, ოღონდ მხოლოდ ჯერჯერობით...

მინაწერი:

„**საერთო გაზეთის**“ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ „დიდი თურქობა აჭარაში“ წარმოიდგინეთ და, მკითხველთა მოსალოდნელზე მეტი ყურადღება გამოიწვია.

გუშინ ბათუმიდან ჩემთვის აქამდე უცნობი ბატონი დამიკავშირდა: მე გახლავართ **ჯემალ მიქელაძე**, ისტორიკოსიო, ბრძანა და თავისი გულისტკივილი ასე გამიმხილა:

„თურქები ადრე უფრო შეფარული, ფრთხილები იყვნენ. ამჯერად უფრო ღია მოქმედებებზე გადავიდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, მათი მთავარი მიზანია, დაისაკუთრონ ბათუმი და არა მხოლოდ ბათუმი.

თურქეთი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც უფასო სწავლებაა. ეს მაგნიტივით იზიდავს სწავლის მოსურნეებს, მით უფრო, რეგიონში, სადაც ასეთი მწვავე ეკონომიკური ვითარებაა.

საქართველოდან, კერძოდ, აჭარიდან, მრავლად მიდიან ახალგაზრდები სასწავლებლად თურქეთის უმაღლეს და სხვა ტიპის სასწავლებლებში, რომლებსაც, ამ ახალგაზრდების სურვილის შემთხვევაში, აგზავნიან უკან, საქართველოში. თურქულ სასწავლებლებში აღზრდილი მოზარდები სამომავლოდ თურქული სახელმწიფო იდეოლოგიის მომხრე და დასაყრდენი იქნებიან. ეს, უბრალოდ, ბუნებრივი ამბავია. მეტიც, ცდილობენ, თურქეთში განათლებამიღებული ახალგაზრდები აჭარის ან თვით სახელმწიფო სამთავრობო დაწესებულებებში მოხვდნენ სამუშაოდ. აღსანიშნავია, რომ თვით თურქული მხარე ცდილობს დაეხმაროს ამ ახალგაზრდებს საქართველოში იშოვონ სამუშაოები საპასუხისმგებლო პოსტებზე. მით უმეტეს, რომ აჭარაში ბევრი ისეთი ადამიანი ცხოვრობს, რომლებსაც გვარი აქვთ შეცვლილი, თუმცა თურქული წარმომავლობის არიან.

როგორ შეიძლება იმის თქმა, ჩვენ და თურქები ერთნი ვართო? მე ვარ აჭარელი, ამ კუთხის შვილი, ისტორიკოსი და ვიცი, თურქები და ქართველები ერთნი არ ვართ, მეტიც, ძალიანაც განვსხვავდებით ერთმანეთისგან...

მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს, ვის ნიშნავენ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, გზა არ უნდა გაუშალონ სამთავრობო პოსტებისკენ, რომ მერე მათი სამოქმედო არეალი არ გახდეს. საქართველოში ნასწავლი ახალგაზრდებისთვის არ მოიძებნება სამსახურები და თურქულ სასწავლებელდამთავრებულთა დასაქმება არ უნდა გახდეს პრიორიტეტული.

მეჩეთები შენდება აჭარაშიო და არის ერთი ამბავი ატეხილი. გარწმუნებთ, მეჩეთების აშენება არაა დიდი ტრაგედია. პრობლემა ის არის, რომ მეჩეთებში მრევლის უფრო მეტ მატერიალურ მხარდაჭერას უწევენ, ვიდრე ქრისტიანულ ტაძრებში, არადა, ეკონომიკა ბევრს ნიშნავს. ქრისტიანული მრევლი აჭარაში, მისახედია...

ყველა წუხს, ქართველები თურქეთში მიდიან სამუშაოდო. ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ ჩვენს მოსახლეობას და რა ჰქნას ხალხმა, რითი გამოკვებონ ოჯახი. ბუნებრივი ამბავია, მაგალითად, გადამფრენი ფრინველები იქ მიდიან, სადაც საკვები მოიპოვება. ადამიანიც ცოცხალი არსებაა, მასაც ისეთივე ბიოლოგიური მოთხოვნილებები აქვს, რაც სხვა სულიერ არსებებს. ოჯახის უფროსმა, ანუ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს მათზე. თუ ოჯახის თავი არ ფიქრობს თავის ოჯახზე, მაშინ მისი შვილებიც ხან ალთას არიან, ხან — ბალთას.

მიხარია, რომ თქვენი გაზეთი დაინტერესებულია აჭარის პრობლემებით. მადლობას გიხდით, რომ ფხიზლად ხართ. მადლობა თქვენ, ირანდა. ჩვენი ერთიანობა, ერთად დგომა აუცილებელია, მით უმეტეს, ახლა, როცა მომავალი ბურუსით არის მოცული... “

პატივცემულო მკითხველო, ჩვენ მუდმივად მივადევნებთ თვალს აჭარაში მიმდინარე პროცესებს და ინფორმაციებს პერმანენტულად მოგაწვდით.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18
ბათუმი-თბილისი

გერბია თუ თავსაფარი?

საქართველოს გერბს ქართული წარწერა რომ არ ჰქონდეს, ვერავინ მიხვდებოდა, რომელი ქვეყნის გერბია...

საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო გერბი სახელმწიფო სიმბოლო, დროშასა და ჰიმნთან ერთად შემოღებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე რომელიც ძალაში შევიდა 2004 წლის 10 ოქტომბრიდან.

საქართველოს სახელმწიფო გერბი ნაკლებად ხვდებათ მოქალაქეებს თვალში და როგორც სიმბოლო, გაცილებით რთული ჩასაწვდომია ვიზუალურადაც, ამდენად, გერბის გამო ნაკლებად გაისმის პრეტენზიები მათგან. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო დროშა თუ არა, გერბი მაინც გვაქვს მოწერიგებული ფორმით.

ჯერ კიდევ წლების წინ მითხრა აღშფოთებულმა ბატონმა მალხაზ აფრიდონიძემ: — „წერია, საქართველოს გერბის ავტორი — მამუკა გონგაძე. აბა, ვახუშტი ბატონიშვილი ვინ არის?! როგორი მდგომარეობაა იცით, თქვენ რომ ტანსაცმლის მოდელი მოიფიქროთ, თქვენს მიერ აწყვეტილი ღილი უკანვე მივაკერო და გამოვაცხადო, რომ მოდელის შექმნის ავტორი მე ვარ — ქურდობა ჰქვია ამას, ბაცაცობა! მოქალაქეებს არ ევალებათ ამის ცოდნა, მაგრამ სახელმწიფო მოხელეებმა არ იციან როგორი უნდა იყოს სახელმწიფო გერბისა და დროშის წარმოშობა, შინაარსი, მათი გამოყენების წესები და დატვირთვა. ამაზე უდიდესი შრომაა გაწეული, მაგრამ თაროზეა შემოდებული, რადგან „იმ ცეხს“ არ აწყობს...

გერბის ოფიციალურ ბლაზონში 24 სერიოზული შეცდომაა დაშვებული. კანონი არსებობს, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი, ვისაც როგორ უნდა, ისე რომ გამოიყენებს.

მართლაცდა, რატომ იცვლება ქვეყნის გერბი, ფაქტობრივად, წამდაუწუმ, ნუთუ შეუძლებელია ერთხელ და სამუდამოდ შეიქმნას სრულყოფილი ქართული გერბი და კანონმა დაიცვას? რატომ უნდა იყოს კანონი იმგვარად ბუნდოვანი, რომ ყველას შეეძლოს საკუთარი ხუშტურის ასრულება?

გადავხედოთ საქართველოს გერბების ისტორიას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი 1919 წელს მიიღო დამფუძნებელმა კრებამ. იგი შექმნა საქართველოში მოღვაწე მხატვარმა იოსებ შარლემანმა ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით. გერბი წარმოადგენს ქართულ (მრგვალ) ფარს, რომელიც მოთავსებულია ქართულსავე, ორნამენტირებულ 7-ქიმიან ვარსკვლავზე. ფარზე, დაბლა გამოსახულია მთა შავ ფერში (კავკასიონი), რომელზეც შემართულ თეთრ ცხენზე მჯდომი თეთრი მხედრი არავითარ გველეშაპს არ ებრძვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სსრ რევკომის მიერ 1921 წლის 20 მაისის დეკრეტით შემოღებული იქნა საქართველოს ახალი სახელმწიფო გერბი.

აღნიშნული გერბის ავტორი ძველი გერბის ავტორი, კვლავ იოსებ შარლემანი და მისი მეგობარი, მხატვარი-აკადემიკოსი ევგენი ლანსერე არიან. გერბში გამოყენებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბის მოტივი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1922-24 წლების საქართველოს და ასფსრ ფულად ნიშნებზე გამოყენებული გერბის ორნამენტირებული ვარსკვლავი თითქმის ძველი გერბის (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის) იდენტურია, მხოლოდ, ხუთქიმიანია. გერბი უცვლელი დარჩა I კონსტიტუციის მიღების შემდეგაც.

1937 წელს სსრ II კონსტიტუციის მიღებისას, რაც გამოწვეული იყო ამიერკავკასიის სფსრ-ს დაშლით და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უშუალო გაერთიანებით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გერბის ცვლილებებზე დაიწყო მუშაობა. კომისიის აზრით, გერბში უნდა ჩამატებულიყო რესპუბლიკის სახელი, წითელი ვარსკვლავი (ჩაანაცვლა ძველი), ხოლო თავთავებსა და ვაზს შორის — ციტრუსი და ჩაი.

1978 წლის 15 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე იმავე წლის 24 აპრილს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება და შემოღებული იქნა გერბის ახალი გამოსახულება, ხოლო 1981 წლის 18 ივნისის ბრძანებულებით ძველ გერბზე დაემატა მხოლოდ წარწერა „საქ.სსრ“.

1990 წლის 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე, არსებითად აღადგინეს 1918-21 წლებში არსებული სახელმწიფო გერბი. ამავე წლის 28 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი, რომელმაც განსაზღვრა ახალი გერბის აღწერილობა და გამოყენების წესი.

1999 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება რომ მიეღოთ გერბი „კვართიან-დავითიანი“, გერბზე აუცილებლად გამოსახულიყო ქრისტეს კვართი და დავით აღმაშენებლის მეფობის სიმბოლოები, მაგრამ...

ამის შემდეგ კიდევ ერთხელ იცვლება საქართველოს სახელმწიფო გერბი 2004 წელს და გვაქვს დღევანდელი სახით. როგორც ვხედავთ, გერბის შეცვლას აქამდე ჰქონდა საფუძველი, 2004 წელს კი რატომ შეიცვალა, გაუგებარია.

მას შემდეგ არის საუბარი, რომ საქართველოს გერბზე არასწორადაა გამოსახული წმინდა გიორგი, ვინაიდან, მარცხნივ არის შებრუნებული, კანონიკურ ხატებზე კი მარჯვნივ. როგორც ჩანს, „ვიღაცებმა“ ან მართლაც არ იციან სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ საკმარისად, ან შეგნებულად ამახინჯებენ. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, საქართველოს დღევანდელ გერბზე გამოსახულია ბურგუნდიის სამეფოს ნიშნები და არაფერია გამოსახული ისეთი, რაც რაიმეთი მხოლოდ საქართველოსთან არის დაკავშირებული.

რაც შეეხება გერბზე გამოსახულ შეტრიალებულ წმინდა გიორგის — რა ნიშნითაა (სწორკუთხა წითელი ჯვარი) აღნიშნული წმინდანი, გაურკვეველია, ურჩხულს მთელი ევროპის რაინდები კლავდნენ წმინდა გრაალის ძებნის პროცესში. (ირიბი ჯვარი — წმინდა პატრიკი; ირიბი თეთრი ჯვარი — წმინდა ანდრია; ჯვარზე გადაკვეთა, დაბლა, წმინდა პეტრე). ყველაფერთან ერთად, მარცხნივ შეტრიალებული აღნიშნული ფიგურა საკმაოდ უხერხულ პოზაში კლავს მარეჯვენა ხელით ასევე მარცხნივ გამოსახულ ურჩხულს, ცხენის კისრიდან აქეთ. ცნობილია, რომ სიმბოლოებს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, თუ ერთი კუთხით სიკეთეს განასახიერებს, შეტრიალების შემთხვევაში საპირისპირო მნიშვნელობას იძენს...

აი, ასეთი უკულმართად გამოსახული გერბი დაადო საქართველოს მაცხოვრის საფლავის მცველისთვის მოპარულ დროშასთან ერთად სააკაშვილის ხელისუფლებამ და კარგი რა უნდა დაგვემართოს?

2004 წელს სასწრაფოდ მიღებული გერბი 2005 წლის ივლისში კვლავ გადაკეთდა, სადეკიზე ბაფთაზე ჯვრები დაემატა, ხოლო ვაზის ფოთოლი ლეღვის ფოთლით შეიცვალა, რასაც ვერანაირ ახსნას ვერ მოუძებნის ადამიანი. ზოგადად კი, ქართულ ენაზე შესრულებული წარწერა რომ არ ჰქონდეს საქართველოს გერბს, მსოფლიოს ვერც ერთი ქვეყნის ჰერალდიკოსი ვერ მიხვდებოდა რომელი ქვეყნის გერბი უდევს წინ.

გიორგი ჩხეიძე

დანაღვლიანებული დონალდ ტრამპი და ჟურნალისტი სალომე თბილისიდან

დონალდ ტრამპი დანაღვლიანებულია: გავიგე, რომ ქალის სასქესო ორგანოზე ხელის წავლება არ შეიძლება, კაცისა კიდევ მე არ მინდა... რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეო?

ჟურნალისტი სალომე ასათიანი საზოგადოებისთვის ცნობილი ყოფილ პრემიერ-მინისტრთან ბიძინა ივანიშვილთან, სკანდალური ინტერვიუს წყალობით გახდა. მართალია, საზოგადოებამ ამას ვერ უწოდა „ინტერვიუ“, მართალია, საზოგადოებამ გააკრიტიკა ჟურნალისტის ჟურნალისტური ეთიკა, პროფესიონალიზმი, ზოგმა აღზრდა დაუწუნა, ზოგმა ნიჭი და ცოდნა - მაგრამ, მოგეხსენებათ, შავი პიარიც - პიარია.

როგორც თავად ჟურნალისტი აღნიშნავს, იმ სკანდალური ინტერვიუდან, რომელმაც ცნობადობა მოუტანა არც თუ ისე თინეიჯერულ ასაკში, რთული და საინტერესო გამოცდილება მიიღო, მიხვდა, რომ შეიძლება რაღაცებს თავი ვერ გაართვას, ციტატა ვერ იპოვნოს, წინადადება არ დაასრულებინოს რესპოდენტს და მაინც... ეს ინტერვიუ ცენზურის გარეშე გავიდეს ეთერში...

გაჰხარებია დედას - ირმა სოხაძეს, შვილის წარმატება, ორმაგად გაჰხარებია, რომ საკაშვილის რეჟიმის დროს არ ჩაწერა მისმა ქალიშვილმა მსგავსი ინტერვიუ, არც კი ვიცი, რა მოხდებოდა, ალბათ, მთელი ოჯახი ციხეში აღმოვჩნდებოდითო... ბრძენმა და ჭკვიანმა ადამიანმა ბიძინამ კი გაიგო ჩემი შვილის მდგომარეობა და კომუნიკაციის ნაკლებობაო... გაიგო და ჩემი მეორე ქალიშვილი განათლების სამინისტროდან არ დაითხოვაო, გაიგო და მისი ქმარი, არც საკრებულოდან გამოუშვა და არც პარტიიდანო...

ამას მოჰყვა, ნანერვიულები ოჯახის გულისამაჩუყებელი ტირადა, რომ სალომე ლამაზი არ არის, მაგრამ ჭკვიანია, რომ სალომეს მხედველობის პრობლემა აქვს, მაგრამ პროფესიონალია და თუ ოდესმე თვალს აიხვევს, ამას მეკობრის „ობრაზის“ გამო გააკეთებს მხოლოდ... თითქოს საზოგადოებას ან სილამაზე აინტერესებდა ჟურნალისტის, ან მხედველობა, თითქოს საზოგადოება პროფესიონალიზმსა და აღზრდას არ უწუნებდა, თითქოს საზოგადოება ერთი დიდი სნობი იყო... ჰოდა, ამ დიდ სნობ საზოგადოებას, გულჩვილობისკენ მოუწოდეს, ამ სნობ საზოგადოებას თვალში ნაცარი შეაყარეს და სარკეს ამოეფარნენ...

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას, სალომე უკვე ღიად მოუწოდებდა ამომრჩევლებს, არ მიეცათ ხმა „სისტემისთვის, რომელშიც ძალაუფლების ცენტრი იქნებოდა ერთი ამორფული, ეკლექტური, დამოუკიდებელი პარტიული გამოცდილების არმქონე, ფაქტობრივად სახელმწიფო სტრუქტურებთან შეზრდილი და თავად გაუმჭირვალედ მართული პარტია“ „ქართული ოცნება“...

სამაგიეროდ, ხმა უნდა მიეცათ იმ სააკაშვილისთვის, რომელსაც, როგორც თავად ამბობენ, შეეძლო, ერთი ინტერვიუსთვის ჟურნალისტის მთელი ოჯახი ციხეში ჩაესვა...

ვფიქრობ და ვერ გამიგია: რა არის ეს, ორმაგი სტანდარტი, სამმაგი სტანდარტი, ახალი სტანდარტი თუ უსტანდარტო სტანდარტი... ვფიქრობ და ვერ გამირკვევია, ეს ის „დაბნეული“ ჟურნალისტია, რომელმაც ინტერვიუს პროცესში „ქაღალდების ქექვისთვის“ (და არა მარტო) საზოგადოებას ბოდიში მოგვიხადა და მოწიწებით დაგვპირდა, რომ ისწავლიდა ციტატების ცალკე ფურცელზე ჩამოწერა, და დალაგებას, თუ..?

ალბათ, უფრო თუ...

ვფიქრობ და მომწონს, კარგია, თუ ბოლო წლები ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ჟურნალისტების ოჯახებს განსხვავებული აზრისთვის აღარ დევნიან, სადაც, ოჯახის ერთ წევრი კენჭს იყრის „ქართული ოცნების“ სახელით და იმავე ოჯახის წევრი ამ პარტიას ლანძღას და ის ე.წ. „ეკლექტური, ამორფული, სახელმწიფო სტრუქტურებთან შეზრდილი და გაუმჭირვალე პარტია“ ამასაც წარბშეუხრელად ხვდება...

მაგრამ, დაუსჯელობის სინდრომი და დემოკრატიაც მოსაწყენია დიდი დოზით... მოსწყენია სალომე ასათიანსაც ქართულ პოლიტიკაზე საუბარი... უფიქრია, ბევრი უფიქრია და გადაუწყვეტია, ტრამპი არ უნდა აერჩია ამერიკელ ამომრჩეველსო...

ტრამპი აირჩიეს თეთრკანიანმა დაბალტანიანმა მამაკაცებმაო... ასე მეტრანახევარმა და მეტრა სამოცმა სიმაღლითო... იქვე შეუსწორა რესპონდენტმა, ქალ ამომრჩეველთაგანაც არანაკლები ხმები მიიღო ტრამპმაო, მაგრამ რისი გაგონებაც არ სურდა, ვერ და არ გაიგონა.. გააგრძელა ამაყად და ჩვეულებისამებრ ციტატით: ობამაც არ მოსწონდათ ამერიკელებს, იმიტომ რომ, ვერ გაიგეს, როგორ მოახერხა მარტოხელა დედის შვილმა ჰარვარდში ესწავლაო...

ეჰ, ეს რა არის, ქალბატონო სალომე, ჩვენ ის ვერ გავიგეთ, მომღერლის შვილმა, როგორ მოახერხეთ სასექსის უნივერსიტეტში გევლოთ და კომუნიკაციის წესებიც ვერ გესწავლათ, მაგრამ ხმა ამოგვიღია?

ვერც ის გავიგეთ, რატომ უწოდებს დედათქვენი თბილისს „ჭორიკანა საყვარელ“ ქალს, სადაც თქვენი ალბანელი მეუღლე ვერაფრით იცხოვრებს, თურმე... ჯერ ერთი, ჭორიკანა საყვარელი - კაციც შეიძლება იყოს და ეს განცხადება თქვენს ძვირფას გენდერულ თანასწორობას, ცოტა არ იყოს, ჩრდილს აყენებს და მეორეც, ამ „ჭორიკანა საყვარელ ქალ“ ქალაქში თქვენზე ან თქვენს ალბანელ მეუღლეზე ნაკლებ ადამიანებს უცხოვრიათ განა?

მაგრამ, ჩვენ არა ვართ გულღრძოები, არც თქვენი წყენინება გვინდა, ყველა წყენას მერე თქვენ გარეგნობას უფარდებთ და ახალი ტირადების მოსმენა თვალის ჩამოშლილ ბადურებზე, მით უფრო, რომ სულ სხვა რამეს გიწუნებთ, არ გვსურს...

ჰოდა, ტრამპი არ უნდა აერჩია ამერიკელ ხალხსო... იმიტომ, რომ ტრამპი გენდერულ თანასწორობას და უმცირესობებს პატივს არ სცემსო...

თუ ამერიკელ ხალხს გენდერული თანასწორობა სჭირდებოდა და ეძვირფასებოდა, ვინმემ დაუშალათ ჰილარი კლინტონის არჩევა?

მაინც, რაში გამოიხატება ამ უმცირესობების და გენდერული თანასწორობის შეურაცხყოფა, თურმე, იცით? არა? აი, ქალბატონმა სალომემ იცის...

ტრამპს ქალის სასქესო ორგანოსთვის ხელის წავლება ნაყვარებაო...

ტიტუ... კაი, კაცო. რა თქვით ეს...

ასე ყველაფრის თქმა კი არ შეიძლება ღიად... ქართველმა მამაკაცებმა არ გაიგონ, რომ ქალის სასქესო ორგანოზე ხელის წავლება შეიძლება, თორემ მოგვეჭრა თავი და დაგვენგრა სახელმწიფო...

ამერიკაში ექნებოდა ნასწავლი იმ თუქსუს სააკაშვილსაც ეგ ხელის წავლებები, თორემ, აბა, საიდან ეცოდინებოდა საქართველოში გაზრდილ კაცს სადაა ქალის სასქესო ორგანო და ხელი უნდა წაევლო თუ ფეხი?

ვაი, ტრამპს ჩვენი ხაშლამა არ გაუსინჯავს, თორემა... რა ხელი, რის ხელი...

მოკლედ, მიხომ გადაწყვიტა ცოლი სექსით მოკლას... თავი მოიქაჩლა, მთელი ღამე არ ისვენებს, ბოლოს გათიშულს ჩაეძინება... დილით თვალს ახელს და რას ხედავს, მოაქვს მაროს სინით ხაშლამა და უღიმის: მამექცევი ადამიანურად, მაგექცევი ადამიანურადაო...

გენდერული თანასწორობა, ჰო? ანუ, მაინც ვერ გავიგე, ტრამპს რომ ქალის სასქესო ორგანოზე ხელის წავლება ყვარებია, ეგ არ მოგწონთ ზოგადად, თუ ქალის სასქესო ორგანოს რომ მიადგა მაინცდამაინც, იმას მისტირით? კაცისაზე რომ მოეკიდა? ეგაც გეწყინებოდათ? თუ, ეგ უმცირესობაა და მაგაზე განაწყენება არ შეიძლება, ჰა?

ამერიკამ შემოგვითვალა, ისა და, რა თქვენი საქმეა, კაცი ავირჩიეთ თუ ქალიო, რა თქვენი საქმეა კაცმა ქალს გვინდა წაავლოს ხელი თუ კაცსაო, რა თქვენი საქმეა ვინ ვის სად წაავლებს ხელსო...

ტრამპი კი... ტრამპი დანაღვლიანებულა... გავიგე, რომ ქალის სასქესო ორგანოზე ხელის წავლება არ შეიძლება, კაცისა კიდევ მე არ მინდა... რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეო?

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

1917 წლის 7 ნოემბერს „ავრორას“ მიერ გასროლილი ყუმბარა 2016 წლის 8 ნოემბერს აშშ-ში, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს გასკდა?



პროგნოზები ნებისმიერ სფეროში უმადურ საქმედ ითვლება, მათ შორის, პოლიტიკაშიც. მიუხედავად ამისა, აშშ-ის და ევროპის პოლიტიკოსების უმრავლესობა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას ტრამპის კონკურენტს ჰილარი კლინტონს უწინასწარმეტყველებდა. ეს კი არა, დარწმუნებულებიც იყვნენ, რომ აშშ-ის ისტორიაში პირველად ქალი ეყოლებოდათ პრეზიდენტი. თუმცა შედეგი საპირისპირო აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჰილარი კლინტონს, ფაქტობრივად, მხარს თითქმის ყველა სამთავრობო სტრუქტურა უჭერდა. მოქმედი პრეზიდენტი ღიად მოუწოდებდა ამომრჩეველს, მხარი კლინტონისთვის დაეჭირათ, შედეგი მათთვის არასასურველი აღმოჩნდა. აქვე სათქმელია, რომ ბარაკ ობამა რამდენიმე ქალაქშიც ჩავიდა კლინტონის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ობამამ სხვადასხვა ქალაქში სახელმწიფო თვითმფრინავით იმოგზაურა, რაც იმის მიზეზი გახდა, რომ ტრამპის შტაბის წევრებმა კლინტონი სახელმწიფო რესურსების გამოყენებაში დაადანაშაულეს.

თვით ამერიკელი პოლიტიკოსების და პოლიტოლოგების ნაწილი ღიად აცხადებს, რომ მსგავსი ბინძური საარჩევნო კამპანია აშშ-ის ისტორიაში არ ყოფილა. ძნელია, არ დაეთანხმო მათ მოსაზრებას, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატები სამოქმედო პროგრამების წარდგენის ნაცვლად, ერთმანეთის მაკომპრომეტირებელი მასალების გამომზეურებით იყვნენ დაკავებული. ჰილარი კლინტონმა ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები რუსეთთან კავშირშიც კი დაადანაშაულა! ბრალდება მტკივნეულად აღიქვეს, როგორც ძალოვნებმა, ასევე მოსახლეობამ. წინასაარჩევნო პერიპეტიებზე დაწვრილებით საუბარი, ვფიქრობთ, აუცილებელი არ არის, რადგან ტელევიზიით ვხედავდით, რაც ხდებოდა. ერთი კი სათქმელია, რომ თითქმის ყველა სამთავრობო სტრუქტურებთან დაახლოებული მედია-საშუალებებიც მხარს კლინტონს უჭერდნენ. ამიტომაც გამოკითხვების შედეგებით მთელ წინასაარჩევნო პერიოდში კლინტონის რეიტინგი ყოველთვის უფრო მაღალი იყო და ტრამპს უსწრებდა. როგორც არჩევნების შემდეგ დავინახეთ, ამ გარემოებამ კლინტონს დათვური სამსახური გაუწია.

დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტება მხოლოდ არჩევნებში გამარჯვებად არ უნდა შევაფასოთ. აშშ-ის მოსახლეობამ, ფაქტობრივად, უარი თქვა არსებული პოლიტიკური კურსის გაგრძელებაზე. ჰილარი კლინტონის გამარჯვების შემთხვევაში, აშშ-ის, როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკურ კურსში არაფერი შეიცვლებოდა.

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში გამოიკვეთა აშშ-ში არსებული მწვავე პრობლემები, რომლებზეც ხმამაღლა რატომღაც არ საუბრობდნენ. დონალდ ტრამპის ერთ-ერთი დაპირება გზების მშენებლობა და ინფრასტქრუქტურის განახლება-მოწყობა, აგრეთვე სამუშაო ადგილების შექმნა გახლდათ. მსგავსი დაპირებები ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც კი ღიმილს იწვევს, მაგრამ ეს პრობლემები აშშ-ში თურმე მწვავედ დგას.

იაფი მუშახელის გამო ამერიკელმა მეწარმეებმა მთელი რიგი ფაბრიკა-ქარხნები უცხოეთში, ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში გაიტანეს. მსგავსი ტენდენცია თვალშისაცემი 2008 წლის შემდეგ გახდა. ამ გარემოებამ აშშ-ში უმუშევრების რიცხვი გაზარდა, რისი მიზეზითაც მოსახლეობის საშუალო ფენა გაღარიბდა. ტრამპი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამუშაო ადგილების შექმნას დაჰპირდა მოსახლეობას და ამიტომაც მიიმხრო ამომრჩეველი, განსაკუთრებით საშუალო და ღარიბი ფენის წარმომადგენლები.

დონალდ ტრამპის ჩაძირვის და პოლიტიკურად დასამარების მცდელობა კრახით დამთავრდა. წარსულში აპოლიტიკურმა ადამიანმა შეძლო დაემარცხებინა აშშ-ის დღევანდელი მოქმედი ადმინისტრაცია და მათი ფარული ლობისტები. ყოფილ სახელმწიფო მინისტრს კი ხშირად ახსენებდნენ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ცხელ წერტილებს, რომელთა მოწყობაშიც პირადად მას ადანაშაულებენ. გარდა ამისა, საყოველთაოდ გახდა ცნობილი სხვადასხვა, ფაქტობრივად, კორუფციული სქემები, რომელთა მეშვეობითაც კლინტონების ოჯახმა მილიონობით დოლარი მიიღო.

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების დროს ჰილარი კლინტონი რამდენჯერმე ცუდად გახდა. ამ გარემოებამ ეჭვქვეშ დააყენა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. უცხოელი პოლიტოლოგები პირდაპირ გაოგნებულები იყვნენ, როგორ შეძლებდა ავადმყოფი პრეზიდენტი იმ ქვეყნის მართვას, რომელიც ბირთვული იარაღის უდიდეს არსენალს ფლობს.

მიზეზები იმისა, რომ კლინტონი ვერ გაიმარჯვებდა, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ-ის პოლიტიკური ელიტა არ ელოდებოდა მის დამარცხებას, რამაც ევროპის ქვეყნებშიც კი საყოველთაო შოკი გამოიწვია.

ასეა თუ ისე, აშშ-ის 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდა. უნდა ვაღიაროთ, რომ წლევანდელი რევოლუციური საპრეზიდენტო არჩევნები მსოფლიოში ახალი პოლიტიკური კურსის დასაწყისია. მოვლენა 1917 წელს რუსეთში მომხდარ რევოლუციასაც შეგვიძლია შევადაროთ (სულო ცოდვილო, მაშინ, 7 ნოემბერს, წლეულს კი 8 ნოემბერს განვითარდა მოვლენები. რატომღაც თარიღები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან). გასული საუკუნის რევოლუციამ სათავე დაუდო მსოფლიოს ორ ბანაკად — სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროდ გაყოფას. რა ელის სამყაროს უახლოეს მომავალში პოლიტიკური თვალსაზრისით, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

აშშ-ის დღევანდელი პოლიტიკური კურსით და ეკონომიკური სიდუხჭირით განრისხებული, მომავლის უიმედობით შეპყრობილი ხალხის არჩევანმა მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები შეაზანზარა და შეაშფოთა კიდეც. თავიანთი არჩევანით მოსახლეობამ იმ სოციოლოგებსა და პოლიტიკოსებსაც გააწწა წილა, რომლებიც ტრამპის უპირობო დამარცხებას წინასწარმეტყველებდნენ.

როგორი იქნება მსოფლიოს მომავალი, ვიმეორებთ, ძნელია განსაზღვრა. თუმცა, ტრამპის წინასაარჩევნო დაპირებიდან გამომდინარე, სამყაროში საკმაოდ დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ერთ-ერთი მთავარი გზავნილი ნატოს ბლოკს ეკუთვნოდა. ტრამპის განცხადებით, მხოლოდ აშშ არ უნდა აფინანსებდეს ბლოკს და ყველა წევრი ქვეყანა ვალდებულია, თავისი წილი თანხა შეიტანოს ნატოს ბლოკის ყულაბაში. „ვინც ვერ გადაიხდის, იმ ქვეყნებს ჩვენი დახმარების იმედი ნუ ექნებათო“, — განაცხადა ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატმა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე.

განცხადებამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ევროპის ქვეყნებში და ნატოს შტაბ-ბინაში. თუ დონალდ ტრამპი განახორციელებს ჩანაფიქრს, ნატომ, შესაძლოა, დაკარგოს თავისი ფუნქცია, გაფართოებაზე ხომ ზედმეტია საუბარი, ის სულ მცირე, ოთხი წლით მაინც შეჩერდება. ამიტომაც, 2017 წლის გაზაფხულზე დაგეგმილი ნატოს სამიტი, რომელზეც ჰილარი კლინტონი პრეზიდენტის რაგნში იყო მიწვეული, გვიან ზაფხულისთვის გადაიდო.

ალბათ, ეს გარემოება გულდასმით უნდა შეაფასოს ჩვენმა ხელისუფლებამ და ისე დაგეგმოს ქვეყნის მომავალი.

როგორი იქნება აშშ-ის როლი ახლო აღმოსავლეთში და, საერთოდ, არაბულ ქვეყნებში, ჯერ კიდევ ბუნდოვანია. თუმცა იგივე ტრამპის განცხადებით, სირიაში და ერაყში „იგილ“-თან ბრძოლას რუსეთთან ერთად არ გამორიცხავს. ამასთან, პუტინის მიმართ სიმპათიები არც არასოდეს დაუმალავს. საუდის არაბეთი და ყატარი, რომლებიც აშშ-ის უპირობო მხარდამჭერები არიან, ოფიციალური პოლიტიკური განცხადებებისგან დღემდე თავს იკავებენ. ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორ გაგრძელდება აშშ-ის თანამშრომლობა თურქეთთან და ირანთან. ორივე ქვეყანას რეგიონში თავიანთი ამბიციები აქვს და ამას არც მალავენ.

აშშ-ის 58-ე არჩევნები დასრულდა, მაგრამ ქვეყანაში ვნებათაღელვა გრძელდება. მთელ რიგ დიდ ქალაქებში საპროტესტო გამოსვლებია ლოზუნგით: „ტრამპი ჩემი პრეზიდენტი არ არის!“

დემონსტრაციები აშშ-ისთვის არახალია, მაგრამ, როგორც დასავლელი ჟურნალისტები ამბობენ, მართული ყოფილა, მომიტინგეებს ავტობუსებით დაატარებენო. თუ კარგად დავაკვირდებით, აშშ-ის ახლანდელი დემონსტრაციები სხვადასხვა ქვეყნებში, თუნდაც 2014 წელს კიევში მომხდარი მოვლენების ტყუპის ცალია. საინტერესოა, აშშ-შიც მოხდება თუ არა რომელიმე ფერის რევოლუცია, თუ შეძლებენ მის თავიდან აცილებას, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ამასობაში ჰილარი კლინტონი, ნაცვლად იმისა, მომხრეებს თავშეკავებისკენ მოუწოდოს, რადგან დემონსტრაციების დროს უკვე არის მსხვერპლი და არიან დაზარალებულები, თავის წინასაარჩევნო შეცდომებს და არჩევნებში დამარცხებას გამოძიების ფედერალურ ბიუროს და მის დირექტორს აბრალებს. დონალდ ტრამპი კი მომავალი ადმინისტრაციის ფორმირებით არის დაკავებული. ხელფასიც სიმბოლური, ერთი აშშ-ის დოლარი დაინიშნა.

1917 წლის 7 ნოემბერს „ავრორას“ მიერ გასროლილი ყუმბარა 2016 წლის 8 ნოემბერს აშშ-ში, საპრეზიდენტო არჩევნების დღეს გასკდა?

გია ბურდული
551 71 27 07

„პლანაქეშები“ და ჩემი უბნელი ბობ მარლი ჯაფარიძე

„ტაშკენტიდან მოდის ქარავანი, აქლემზეა გადამჯდარი ქალი, მივედი და მომაწოდა პლანი, ახ მამაჯან, ეტყობა რომ ნარკომანი არი...“

„ჩვენ მივმართვათ მომავალ პარლამენტს და მომავალ მთავრობას და მოვითხოვთ მათგან, რომ ახალ წლამდე შეცვალონ ნარკოტიკებთან დაკავშირებით კანონმდებლობა და მარიხუანას და მისგან დამზადებული პროდუქტების მოხმარება ქვეყანაში გახდეს სრულად ლეგალიზებული. თუ ხელისუფლება ამას არ გააკეთებს, მაშინ 2016 წლის 31 დეკემბერს 23.59 წუთზე, პირდაპირ ეთერში, საჯაროდ, ნებისმიერ სრულწლოვან მოხალისესთან ერთად დავრგავთ მარიხუანას. ჩვენ გვესმის, რომ ამით ჩვენ დავარღვევთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის 265-ს რომელიც ითვალისწინებს 6-იდან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ჩვენ ცხადია, არ ვართ შეშლილები, გვყავს ოჯახები, გვაქვს ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საქმეც, მაგრამ ჩვენთვის ეს არის პოლიტიკური აქტი, თავისუფლებისთვის პოლიტიკური ბრძოლის კონკრეტული გზა,“ — განაცხადა ჩემმა უბნელმა ზურა ჯაფარიძემ, რომელიც, ამ განცხადების თქმის დროს სულაც არ ჰგავდა დაბოლილს.

ჩემი უბნელიაო, შემთხვევით არ მითქვამს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ეჭვი მაქვს, პატივცემული ჯაფარიძე პლაგიატია, მარიხუანას, ანუ პლანის ქოთანში დარგვის იდეა უბნიდან მოიპარა. (სხვა უბნებშიც იქნებოდა მსგავსი შემთხვევები, მაგრამ რადგან ჩემი უბნელია, ჩემი უბნიდან ამოვდივარ). ეე .წ კომუნისტების დროს, სანამ სკოლამდე მივიდოდი, სულ მცირე სამი ფანჯარა მაინც მხვდებოდა სადაც ქოთანში ჩარგული პლანის ნერგი იწონებდა თავს.

ახლა სხვა მხრიდან მივუდგეთსაკითხს — სად ბრძანდებოდა პატივცემული ზურაბ ჯაფარიძე, როდესაც მისი პარტიული ხელისუფლება ციხეებში აწამებდა სრულიად საქართველოს სწორედ პლანის მოყვანა-მოხმარება-შენახვა-გასაღების მუხლებით ისე, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, მართლა იყო პირი აღნიშნული დანაშაულების ჩამდენი თუ არ იყო?

ზურაბ ჯაფარიძის ამ განცხადებაზე, ხალხი, ნაწილი თუ ილანძღება, ნაწილი შაყირობს. მართლაცდა, „გირჩი“ რომ გქვია, შვილო, (შვილებო) ნაძვი დარგე, ფიჭვი, კიპარისი, გაიზრდება და თავისი წილი ჟანგბადით მცირედით მაინც წაადგება ჟანგბადნაკლულ ქალაქს, მარიახუანას დარგვისკენ მოწოდება გვეჭირვება კიდევ?

დიახ, სწორედ ამის მოწოდებაა, რომ მარიხუანას და მისგან დამზადებული პროდუქტების მოხმარება ქვეყანაში გახდეს სრულად ლეგალიზებული. რას და როგორ მოიხმარ თუ არ დათესე? ანუ, ზურაბ ჯაფარიძის მოწოდება-მუქარის კვალ და კვალ, კანაფად რომ გადაშრიალდება საქართველოს მინდორველები, „მიველ, ვნახე, დავამარცხე“ ამგვარ სახეს მიიღებს „დავთესე, დავბოლდი, დავყ... ევდი“...

გოგა ხაჩიძე კარგად ჰყავდეს ზურაბ ჯაფარიძეს და ექსპერიმენტების მეტს რას ჩაატარებენ. „ჰაკიმ-ფაშას ტიტუშკები“ რომ ჰქონდათ აკვიატებული და ექსპერიმენტებს ატარებდნენ, მას შემდეგ ექსპერიმენტების ჩატარებაში არიან. ახლა მარიხუანას დათესავენ ვითომ პროტესტის ორიგინალურად გამოხატვის ნიშნად, მაგრამ მოსავალი რომ ჩაუვარდებათ და თანაც, ვერ შეაშინებენ მთავრობას, პროტესტის გამოხატვის შემდეგი ნაბიჯი ოპიუმის ყაყაჩოს ქოთანში ჩარგვა იქნება, ალბათ. კაცმა რომ თქვას, ოპიუმის ყაყაჩოთი უნდა დაეწყოთ, ყვავილობისას ლამაზი მაინც არის, მაგრამ ფანტაზიაშიც მოიკოჭლებენ როგორც ჩანს... ამ გახსენებაზე, მეფე ლირივით ყველასგან მიტოვებული ბელადის უკვდავსაყოფად, უკეთესი ვარიანტი ქინძის დათესვა აქვთ, მითუმეტეს, რომ ქინძი არ არის დიდად სალოლიავო, მთავრია ერთხელ ჩააგდო მისი თესლი ნიადაგში და გადაქინძდება არემარე.

რადგან საჯაროდ ჯერ არ გამოუტანიათ საკუთარ თავზე ჩატარებული მორიგი ექსპერიმენტი მარიხუანას „კარგიანობის“ შესახებ (ავი — ვინ გაიგონა!), ისღა დაგვრჩენია, მხოლოდ წარმოვიდგინოთ ზურაბ ჯაფარიძე კაი განგრეულ კაიფში, რა თქმა უნდა, გოგა ხაჩიძესთან ერთად და იგულისხმება სრულიად მათი მხარდამჭერი საზოგადოება.

ბა-დაბოლება“. სხვაგვარად არ გამოვა, უნორმოდ ხან ვინ გვაბოლებს და ხან ვინ და ვართ ასე დაბოლილები, აი, ნორმიულად, რაღაც შედეგს გამოიღებს — იმას მაინც გავიგებთ, უზმოზე და ძილის წინ რა დოზით დავბოლდეთ ინგა გრიგოლიას ყვირილის შემდეგ...

იქნებ ჩვენ, არამპლანმწეველები და პლანაქეშებისადმი „არაადექვატურად“ განწყობილი მოქალაქეები აზრზე არ ვართ რა შორსგამიზნული ხედვა აქვთ „ექსპერიმენტატორ გირჩებს“? როგორც ინფორმაცია გავრცელდა, ისრაელმა გამოიყვანა ახალი ჯიში სამედიცინო მარიხუანა და ისე იცავს იმ პლანის პლანტაციებს თელ-ავივი, კართაგენი რომ არ დაუცავთ. ამბობენ, მრავალმილიარდიან მოგებას ელის ისრაელი იმ მინდვრებიდანო. ებრაელი ერი რომ ჩვენი მეგობარია, ძველი ამბავია და ამ ექსპერიმენტატორ გირჩებს რომ მაგალითად, ნოყიერნიადაგიანი მარნეულის მხარე ჩავაბაროთ პოლიტიკის ნაცვლად, ხომ არ აჯობებდა? ამასთანავე, მშობლიურ კუთხეებს დაუბრუნდებიან დედაქალაქს მომწყდარი ჯანიანი კადრები.

რა სჯობს ბიჯოოო — წამოწვები აბიბინებულ მინდორზე... სულ რომ არ მოწიო პლანი, შრიალი დაგბნიდავს...

ერთი ცნობილი, ქართველი ჟურნალისტია, პატივსაცემი, მან თქვა: „მე იმისთანა ბედი მაქვს, „ტაშკენტსკი“ პლანი რომ დავთესო, ხარაგოულის ეკალა ამოვაო... იმ პატივსაცემ ადამიანს ვერ დაუთესია და ესენი ნეტავ, რა ჯანდაბას თესავენ შუა ზამთარში? ამათ, ჯერ არ მოუწევიათ და ამბობენ „გირჩები“ ვართო და რომ მოწევენ, ნეტავ, რანი გახდებიან თავიანთ გაგებაში?

დრაკონული, იდიოტური და მავნებლური კანონმდებლობაა ასობით ათას ადამიანს რომ უმწარდება ცხოვრება პლანის მოუწევლობის (მოწევის) გამოოო, — ჩივის პატივცემული ჯაფარიძე. ბიჯოოო, არ დაგვაბოლა მთელი ასი ათასობოთ კაცი?

რაც შეეხება სერიოზულ მიდგომას — როგორც პატივცემულმა ზურაბ ჯაფარიძემ ბრძანა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონოდ დათესვა, მოყვანა ან კულტივირება ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-იდან ხუთ წლამდე; იგივე ქმედება ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 6-იდან 12-წლამდე... ვისთვისაა ეს მუხლები ჩადებული სისხლის სამართლის კოდექსში, თუ სამართალი მუდამ შერჩევითაა?

ჰოდა, რას შვრება ახლა ეს დაბოლილ-დაუბოლებელი პირი, რა „გამოცხადებული პლანისთესვის ქრონიკა“ შემოაგდო? — პირთა ჯგუფი ღიად აცხადებს რომ განზრახ ჩაიდენენ სისხლის სამართლის დანაშაულს...

ჰეი, თქენ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის აღმასრულებლებო, ხომ არ ჩამოგეძინათ თემიდას სხეულზე?

გიორგი ჩხეიძე

ძლიერი რეგიონები

ჩოხატაური

ჩოხატაურში ხელოვნების სასახლე გაიხსნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან, პარლამენტის დეპუტატებთან, მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ჩოხატაურში ხელოვნების სასახლე გახსნა.

ჩოხატაურის ცენტრში ხელოვნების სასახლის მშენებლობა 2015 წელს დაიწყო და 14 თვეში დასრულდა.

პროექტის ღირებულებამ 2,5 მილიონი ლარი შეადგინა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტის 5-პროცენტიანი თანადაფინანსებით.

ჩოხატაურის ხელოვნების სასახლე გათვლილია 350 მაყურებელზე, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და სრულად ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის.

KFW ბოსტნეულის გადამმუშავებელ საწარმოს ააშენებს

კომპანია „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ ჩოხატაურში ბოსტნეულის გადამმუშავებელ საწარმოს ააშენებს. მშენებლობის დაწყება 2017 წლის პირველ ნახევარში იგეგმება და მასში დაახლოებით მილიონ ლარზე მეტის ინვესტიცია განხორციელდება. KTW-ს გენერალური დირექტორის, ზურაბ ჩხაიძის განმარტებით, „კახური ტრადიციული მეღვინეობა-აგროჩოხატაურის“ საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე მისი კომპანია ახალი ტექნოლოგიური ხაზების დამატებას აპირებს.

„ახალი საწარმო ბოსტნეულის გადამუშავების მიმართულებით იმუშავებს. პროდუქცია „ნენას“ სახელით გამოვა. საწარმოში ადგილობრივი კადრები დასაქმდებიან“, – ამბობს ზურაბ ჩხაიძე.

როგორც კომპანიის ხელმძღვანელი აღნიშნავს, გურიის ცენტრში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ასეთი საწარმოს გახსნამ გაამართლა:

„საწარმო წელიწადის 12-ივე თვე სრული დატვირთვით მუშაობს და აბსოლუტურად ყველა სეზონზე მოწეული ხილის კომპოტს უშვებს. რაც მთავარია, ჩვენი პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტის ISO 22000-ის შესაბამისად მზადდება. პროდუქციის რეალიზებას კი ვახდენთ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზარზე (რუსეთი, ჩინეთი)“, – აღნიშნა ჩხაიძემ.

შეგახსენებთ, კომპანიამ „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ გურიაში ახალი მიმართულებით ინვესტიცია, 400 000 აშშ დოლარის სახელმწიფო თანადაფინანსებითა და 500 000 აშშ დოლარის ოდენობის შეღავათიანი აგროკრედიტით, 2014 წელს განახორციელა და თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილი ხილის გადამმუშავებელი საწარმო ააშენა. ქარხანა 2015 წლის სექტემბერში ამუშავდა.

გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გამგებელ ირაკლი კუჭავასთან ერთად ხილის გადამმუშავებელ საწარმოს ეწვია და ხილის გადამუშავების პროცესს გაეცნო.

„გურიაში ციტრუსის ჩაბარება-რეალიზაცია ინტენსიურად მიმდინარეობს. სოფელ ნატანების „ქართული სუბტროპიკული ხილის კომპანიაში“ სტანდარტული, ხოლო ხილის გადამმუშავებელ საწარმოში მოსახლეობისგან არასტანდარტული მანდარინის ჩაბარება მიმდინარეობს. სხვადასხვა სახეობის ხილთან ერთად ოც ტონამდე ციტრუსი გადამუშავდება, დამზადდება კომპოტი, ჯემის ნაირსახეობა. სახელმწიფოს ხელშეწყობით რეგიონში ახალი საწარმოები იქმნება და შესაბამისად ჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილებიც. ჩვენ მზად ვართ ხელი შევუწყოთ ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას“, – განაცხადა გია სალუქვაძემ.

ჩოხატაური

ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია იწყება

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტზე იმსჯელეს. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა უპასუხეს დაინტერესებული საზოგადოების კითხვებს და გააცნეს, თუ რა ზემოქმედება შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული გზის მშენებლობამ გარემოზე.

ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელი 30-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია უახლოეს თვეებში დაიწყება და დაახლოებით ორ წელიწადში დასრულდება.

დედოფლისწყარო – სასაზღვრო პოლიციის ახალი სასაზღვრო სექტორის შენობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის „იორის“ ახალი შენობა გაიხსნა. ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე, სასაზღვრო პოლიციის უფროსი ზურაბ გამეზარდაშვილი, შს მინისტრის მოადგილე მერაბ მალანია, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში იან კელი, ამერიკის საელჩოს, ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS) პროგრამის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. გახსნის ცერემონიას ესწრებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

ახალი სასაზღვრო სექტორის შენობა თანამედროვე სტანდარტებს სრულად შეესაბამება. იგი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის 40-კილომეტრიან მონაკვეთს მოემსახურება და მესაზღვრეებს თავიანთი პროფესიული მოვალეობის უკეთესად შესრულებაში შეუწყობს ხელს.

ყვარელი – განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს ეტლები გადაეცათ

სოფელ გავაზში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე სამ პირს საჩუქრად გადეცა ეტლები. ბენეფიციარები ყვარლის გამგეობის სოციალური სამსახურის ბაზის საფუძველზე შეირჩნენ. ეტლები წითელი ჯვრის ორგანიზაციამ ყვარლის მუნიციპალიტეტს გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე გადასცა. გამგებლის წარმომადგენელმა ტერიტორიულ ერთეულში რამაზ წყალობაშვილმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეტლები შინ მიუტანა.

მესტია

აბაშა – გამგებელმა მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა კვიტაშვილმა და გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები დაათვალიერეს. ინფრასტრუქტურული პროექტებს შპს „აბაშის საგზაო სამმართველო“ აწარმოებს, კერძოდ:

აბაშის კაპანის უბანში და სოფ. ონტოფოში საჭაპანო ხიდების მოწყობა – 22 078 ლარი; ნოღოხაშის უბანში მინისტადიონის მოწყობა – 12 445 ლარი, სასაფლაოს ღობის მოწყობა – 12 455 ლარი; კვათანის უბანში, ნინოშვილის ქუჩის პირველ შესახვევში სტადიონის კეთილმოწყობა – 10 452 ლარი.

მარტვილი – ონოღია-ნაჯახაოს დამაკავშირებელი გზა

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ ონოღია-ნაჯახაოს დამაკავშირებელი ასფალტბეტონის გზა დაათვალიერა და მუშახელსა და მოსახლეობას გაესაუბრა.

„მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის ეს ერთ-ერთი პრიორიტეტულია და მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. გზის ეს მონაკვეთი პრობლემებს ქმნიდა როგორც ტრანსპორტით, ისე ფეხით გადაადგილებისას. მოსახლეობას წლების განმავლობაში არსებული პრობლემა მოუგვარდება. სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, სამუშაოს დროულ და ხარისხიან შესრულებაზე მონიტორინგს გამგეობის შესაბამისი სამსახურები უწევენ“, – აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ.

სტიქიის მასშტაბებისა და ეკომიგრანტთა ზრდის დინამიკა მესტიაში

ბოლო წლებში სტიქიის მასშტაბები მკვეთრად გაიზარდა ზემო სვანეთში. მასთან ერთად მატულობს ეკომიგრანტთა რაოდენობა. რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების სახლები ოფიციალურად შეფასებულია როგორც დანგრეული ან საცხოვრებლად უვარგისი, რომელთაAაღდგენა შეუძლებელია, – ასეთია ეკომიგრაციის საკითხებზე დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ რეგიონულ დისკუსიაში მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხსენება.

2014 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილი მონაცემთა ბაზის მიხედვით, სტიქიის, მათ შორის დიდთოვლობის, ხანძრის, სიძველის შედეგად დაზიანებული სახლებისა

ძლიერი საქართველოსთვის

და დამხმარე ნაგებობების აღრიცხვით ფიქსირდება 919 ოჯახი, მათ შორის 22 ოჯახი უსახლკაროა.

სამუშაო შეხვედრები ევროკავშირის დაფინანსებით პროექტის – „ეკომიგრანტი და პოტენციური ეკომიგრანტი ოჯახების ადვოკატირების კამპანია“ – ფარგლებში მიმდინარეობდა.

სენაკი – სოფელ ისულაში დამბის აღდგენა მიმდინარეობს

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის მიმართულებით, მდ. ტეხურაზე არსებული საავტომობილო ხიდის მიმდებარედ წყალდიდობის შედეგად მორღვეული გაბიონის აღდგენა მიმდინარეობს.

სამუშაოების ჯამური ღირებულება, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს ,,გალაქტიკა'აწარმოებს, 170 000 ლარია.

არქეოლოგიურ სამუშაოები ციხესიმაგრე „ხომაკირდეზე“

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი დათო გოგუა ციხესიმაგრე „ხომაკირდეზე“ მიმდინარე არქეოლოგიურ, სადაზვერვო კვლევას დაესწრო.

სოფელ ქვედა ჩხოროწყუში, ჭვილიშის უბანში, მდებარეობს ახალი წელთარიცხვით V-VI საუკუნეებით დათარიღებული ციხესიმაგრის კომპლექსი „ხომაკირდე“. აღნიშნული ნაგებობა თავდაცვის მიზნით გამოიყენებოდა.

ამჟამად ციხესიმაგრის კომპლექსში მიმდინარეობს არქეოლოგიურ-სადაზვერვო კვლევა, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგი, მეცნიერ-თანამშრომელი დიმიტრი ჟვანია.

არქეოლოგიური კვლევა გამგეობის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და განათლების სამსახურისა და ა(ა)იპ ჩხოროწყუს ისტორიული მუზეუმის მხარდაჭერით მიმდინარეობს.

ადიგენი – სოფელ დიდ ზანავში რძის გადამმუშავებელი საწარმო შენდება

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანავში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „მთის გემო“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რძის გადამმუშავებელ საწარმოს აშენებს. მშენებლობის დასრულების შემდეგ აღნიშნულ კოოპერატივს სახელმწიფო 120 000 ლარის ღირებულების თანამედროვე სტანდარტების ინვენტარს უსასყიდლოდ გადასცემს.

საწარმოს ფუნქციონირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. კოოპერატივი 28 წევრისგან შედგება.

საწარმოს მშენებლობის მიმდინარეობას ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაქარია ენდელაძე გაეცნო.

ახალციხე – ურაველის გზებზე ასფალტი იგება

სოფელ ურაველში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 932 768 ლარით ფინანსდება.

ამ ეტაპზე გზაზე ასფალტბეტონის საფარი და სანიაღვრე არხები ეწყობა. პროექტის ფარგლებში ასფალტის საფარი 3030 მეტრზე დაიგება.

მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა სოფელ წყრუთში, ივლიტაში, სვირი-ბოგა-ტატანისში, წყალთბილა-ნაოხრებში, ზემო სხვილისში, მუსხში, ანდრიაწმინდაში, აგარა-წინუბანში, ქალაქ ვალეში (ვაჟა-ფშაველას და ფარნავაზ მეფის ქუჩები).

ამჟამად გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს წყალთბილა-ნაოხრებში (II ეტაპი), აგარა-საყუნეთსა და სხვილისში.

ბოლნისის ინფრასტრუქტურული პროექტები

ქალაქ ბოლნისში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით შერაზადიშვილმა და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა დაათვალიერეს.

რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, მერაბ კოსტავას ქუჩაზე ქვაფენილის დაგება დასრულდა. დამონტაჟდა თანამედროვე ლამპიონები, რომლებიც მზის ენერგიაზე მომუშავე ელექტროპანელებით აღიჭურვა. განახლდა მწვანე ზოლიც, სადაც 40 ვერცხლისფერი ნაძვი, 60 გართხმული ღვია და 120 დასავლეთის ტუია დაირგო.

ამჟამად ტენდერში გამარჯვებული კომპანია ათონის ქუჩის ერთ ნაწილზე, სადაც არასოდეს არ ყოფილა მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, ბოლნისის ბაზალტით ქვაფენილს აგებს.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მოასფალტების სამუშაოები ბოლნისის რამდენიმე ქუჩაზეც. წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგების შემდეგ, მოასფალტდება ათონის, წმინდა ნინოს, ილია ჭავჭავაძის და ლადო ასათიანის ქუჩები. სამუშაოები ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

გორის სადგურის უბანში ინფრასტრუქტურულ პროექტებს 2 მილიონი ლარი მოხმარდება

სამშენებლო სამუშაოები ქალაქ გორის მერმა ზურაბ ჯირკველიშვილმა „ღია კარის დღის“ ფორმატში დაათვალიერა და ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებებსაც გაეცნო.

შეხვედრაზე მოსულმა მოქალაქეებმა მადლიერება გამოხატეს ბოლა ხანს დასახლებაში განხორციელებული მასშტაბური პროექტების გამო, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო.

სადგურის დასახლებაში, სამადაშვილისა და კეცხოველის ქუჩების კვეთაზე ერთდროულად სამი პროექტი მიმდინარეობს, რომლებიც მუნიციპალური განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. მათი საერთო ღირებულება 2 მილიონ ლარს აჭარბებს.

სადგურის გარდა სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს ქალაქის სხვა უბნებშიც. ხორციელდება საფეხმავლო სივრცეების რეაბილიტაცია თამარ მეფის გამზირზე, სტალინისა და თეატრის სკვერების რეაბილიტაცია, გოგებაშვილის ქუჩაზე ახალი სკვერის მოწყობა, სოკო-შადრევნების რეაბილიტაცია და ამხანაგობების თანადაფინანსების ოცამდე პროექტი.



KFW პროექტის ფარგლებში „აჭარის წყლის ალიანსი“ შეიქმნა

აჭარაში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში სს „აჭარის წყლის ალიანსის“ შექმნის თაობაზე მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა რამაზ ბოლქვაძემ და ექვსივე მუნიციპალიტეტის გამგებელმა მოაწერეს ხელი.

„ალიანსი“ აჭარაში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის ეფექტურ განხორციელებას უზრუნველყოფს. სს „აჭარის წყლის ალიანსი“ კონსულტანტის ფუნქციებს შეითავსებს და მუნიციპალიტეტებს პრიორიტეტების განსაზღვრასა და სხვა საქმიანობაში დაეხმარება.

„ალიანსის“ მფლობელობის პროცენტული მაჩვენებლები, უცხოური კომპანიის შესაბამისი კვლევის საფუძველზე, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით გადანაწილდა.

შუახევი – კვირიაულში საცალფეხო დაკიდული ხიდის მშენებლობა დასრულდა

სოფელ კვირიაულის მოსახლეობას სოფელთან და რაიონულ ცენტრთან დაკავშირების პრობლემა აღარ აქვთ. დასრულდა 45 მ სიგრძის საცალფეხო დაკიდული ხიდის მშენებლობა, რომლის ღირებულებაც 30 500 ლარია.

გაზაფხულზე, სტიქიის შედეგად განვითარებული მოვლენების შედეგად ადიდებულმა გუდნის წყალმა არსებული ხიდი წაიღო და აქამდე ოთხი ოჯახი სოფელსა და რაიონულ ცენტრს დროებითი ხიდით უკავშირდებოდა.

დასრულებული პროექტი მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ ავთანდილ დიასამიძემ ინფრასტრუქტურული ღონისძიებების მიმღები კომისიის წევრებთან ერთად დაათვალიერა.

ქობულეთი – სოფელ ცხრაფონაში ახალი სამანქანე ხიდის მშენებლობა დასრულდა

სოფელ ცხრაფონაში ახალი სამანქანე ხიდის მშენებლობა დასრულდა. 14 მეტრამდე სიგრძის ხიდის მშენებლობა მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით დაიგეგმა. პროექტის განსახორციელებლად აჭარის საგზაო დეპარტამენტის ბიუჯეტიდან 81 810 ლარი დაიხარჯა.

უდანაშაულო ადამიანები გამართლდნენ, მაგრამ ვინ გაასამართლებს იმ პროკურორებს და მოსამართლეებს, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანები ციხეში გამოამწყვდიეს?

მთავარმა პროკურატურამ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სამი სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, ე.წ. გახმაურებულ საქმეზე უკანონოდ მსჯავრდებულ პირთა განაჩენების გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო. განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიღებული იქნა: „თელასის“ ფინანსური დირექტორის ნიკოლოზ ლომინაძის მკვლელობაში მსჯავრდებულების – გიორგი და ნოდარ გვიჩიანების, ნიკა ჩემიას, ავთანდილ ხერკელაძის, გიორგი პაპაჩაშვილის მიმართ. ასევე, გენერალ თამაზ ნინუას და მისი მეუღლის ეთერ ნინუას მკვლელობისთვის მსჯავრდებულების თამაზ გოგიას და კოდორში განვითარებულ მოვლენების დროს დაკავებული მსჯავრდებული ნორა კვიციანის მიმართ. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი გამოძიება, დაიკითხნენ ახალი მოწმეები, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მოპოვებულ იქნა ახალი მტკიცებულებები და ფაქტები, რის საფუძველზეც გამოძიებამ თითოეულ ამ საქმეში მოიპოვა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც გამოირიცხა აღნიშნული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი მსჯავრდებულები არიან.

გია გვიჩიანის წინააღმდეგ მთავარმა მოწმემ ჩვენება 2006 წლის 6 მარტს, საღამოს, სოდ-ის შენობაში მისცა. იმავე დღეს, რამდენიმე საათით ადრე, სააკაშვილის ხელისუფლებამ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე გახსნილად გამოაცხადა – შემსრულებლები ხალხის დასანახად დააპტიმრეს, შემკვეთებს კი, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის მეუღლეს, ხელი დააფარეს. შერჩევითი სამართალი ახალი შემოსული იყო მოდაში და კანონის წინაშეც ყველა არ გახლდათ თანასწორუფლებიანი ამიტომაც სანდროს მკვლელებს მინიმალური სასჯელი მიუსაჯეს. გვიჩიანს და ჩემიას მაქსიმალური, ანუ უვადო. (აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აპელაციაში ორივე სს საქმეს მოსამართლე ნაირა გიგიტაშვილი იხილავდა) თუმცა სანდროს მკვლელობის უტყუარი მტკიცებულებები და მოწმეები არსებობდნენ, ხოლო ლომინაძის მკვლელობის, თავიდან ერთი მოწმე ხოლო შემდეგ ორი ბრალდებულის სახით დაემატა. ციხეში მოხვედრილი კაცისგან სასურველ ჩვენებას როგორ იღებდნენ ნაცგარეწარ სამართალდამცავები ვფიქრობ ყველასთვის ცნობილია. მითუმეტეს გვამების შემკვეთი ვანო და მისი შნირი, გვამების შემგროველი ერეკლე კოდუას ინტერესის სფეროში თუ მოხვდებოდნენ ბასტილიის აღებასაც უპრობლემოდ აღიარებდნენ.

გია გვიჩიანი ორი წლის წინ წერდა – „მაშინდელმა პროკურატურამ დნმ-ის და თითის ანაბეჭდის ექსპერტიზის ამერიკიდან გამოგზავნილი პასუხები დამალა. მართალია, კბილაშვილის პროკურატურამ მტკიცებულებები გამოაჩინა და საქმის ხელახალი გადახედვა დაიწყო, მეტიც, სამი ბრალდებული მოწმიდან ორმა (მესამე გარდაცვლილია) პროკურატურას განცხადებითაც მიმართა ჩვენების შეცვლის თაობაზე. ამბობენ – ყველაფერი ტყუილი იყო, ჩვენებები ზეწოლის ქვეშ მივეციითო, მაგრამ პროკურატურამ სასამართლოზე პირდაპირ განაცხადა, მაშინ მიცემული ჩვენებები სანდოა და აღარ შეიცვლებაო.– ანუ გამოდის, ახალი ხელისუფლება, უფრო ზუსტად, პროკურატურა არ არის დაინტერესებული საქმის ობიექტური გამოძიებით? – ამ ფაქტს ერთადერთი ახსნა აქვს. ჩემი საქმის ერთ-ერთი პროკურორი ირაკლი შოთაძე დღეს მთავარი პროკურორის პირველი მოადგილეა და ის ახორციელებს ზეწოლას როგორც პროკურორებზე, ასევე სასამართლოზეც. მას არ აწყობს გიორგი გვიჩიანის გამართლება, რადგან ასეთ შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება. მეცხრე წელია, საჰყრობილეში ვიმყოფები აბსოლუტურად უდანაშაულო რაც შეეხება „ენერგომაფიას“, როგორც გვიჩიანი ამბობს, მათ აქვთ მსხვილი ბიზნესები, რომლებსაც საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდათ მიხეილ სააკაშვილთან.“ გია გვიჩიანის გამართლება რათქმაუნდა არ აწყობდა პროკურატურას, ვფიქრობ არც სასამართლოს, ვერც იმას დავიჯერებ, რომ სინდისმა გაიღვიძა მათში, ამდენი წლით, უდანაშაულო ხალხი ციხეში როგორ გამოვამწყვდიეთო. სხვათაშორის „იუთუბზე“ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ დოკუმენტური ვიდეო მასალა როგორი არ უნდა იყოს მოსამართლე და ბრალმდებელი, ანუ დოკუმენტური მასალა გვიჩიანის, ჩემიას და სხვების სასამართლო პროცესის შესახებ. მე პირადად ხშირად მიჩნდებოდა კითხვა რა პარამეტრებით ირჩეოდნენ ნაცპროკურორები და მოსამართლეები, ნუ „წვრილფეხობა“ გასაგები იყო. მოგვიანებით პრინციპის შესახებ შევიტყვე, (დაწერა უხერხულია) მაგრამ ეხლა სხვა კითხვა მაწუხებს რა მოეწონა ახლანდელ ხელისუფლებას იმ ნაწყვეტ და ნაგინებ პროკურორების და მოსამართლეების დღესაც, რომ ალივლივებენ...

გია გვიჩიანის ადვოკატი ირმა ჭკადუას განცხადებით იგი თავიდანვე დარწმუნებული გახლდათ, გიორგი გვიჩიანის უდანაშაულობაში.“ სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე ნაირა გიგიტაშვილი საქმის განხილვისას დასაბმელი იყო – ზედავდა, როგორ ენგრეოდა თავზე ბრალდება. ადამიანებს უვადო თავისუფლების აღკვეთა ისე ჰქონდათ მისჯილი, მტკიცებულება არ არსებობდა. ნაცვლად იმისა, გამამართლებელი განაჩენი გამოეტანა, მან ექსპერტებს არაკომპეტენტურები უწოდა და ეს განაჩენშიც ჩაწერა. არადა, პროცესზე დაკითხული სახელმწიფო ექსპერტები ამბობდნენ, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ „მაკაროვის“ ტყვიას არ შეიძლებოდა, ისეთი დაზიანება მიეყენებინა მოკლულისთვის, რაც მას აღენიშნებოდა. გერმანიაშიც გავგზავნეთ მასალები და იქიდანაც იგივე პასუხი მივიღეთ. პროკურორმა ანზორ ხვადაგიანმა დამალა ფედერალური ბიუროს ექსპერტიზის შედეგები. არც უზენაესმა სასამართლომ ცნო დასაშვებად საქმე, რომელიც შემდგომ ევროსასამართლომ წარმოებაში მიიღო. ახლა პროკურატურამ საზედამხედველო საქმეში აღმოაჩინა გადამალული დასკვნა, რაც გვიჩიანის უდანაშაულობას ადასტურებს. პარალელურ რეჟიმში დაწყებულია გამოძიება მტკიცებულებების გადამალვასთან დაკავშირებით, რასაც ორი ადამიანის სამუდამო პატიმრობა მოჰყვა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, პროკურორები და ამ საქმის მოსამართლეები თანამდებობებზე რჩებოდნენ. მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს. ირმა ჭკადუას თქმით, მთავარი მოწმეებიც გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპნენ... ამბობენ, გამამართლებელ მტკიცებულებებს სხვა სს საქმეშიც „ვერ იტანდა“ გიგიტაშვილი ექსპერტის დაკითხვა ისტერიკაში აგდებდა და ადვოკატებს ხშირ შემთხვევაში დარბაზის დატოვებით ემუქრებოდა და არც მათ გაძევებას ერიდებოდა...

ერთ-ერთ ინტერვიუში გია გვიჩიანი ყვება როგორ ახდენდა მასზე ზეწოლას „სოდ“-ის მაღალჩინოსანიც, „სოდი“-ს ზეწოლა კი, არც მასთან ერთად დაკავებულებს დაკლებიათ, როცა მას უვადო პატიმრობა მიუსაჯეს მიხვდა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, მაგრამ სასჯელის შეფარდებამდე, მცდელობა, ფიზიკურადაც გაენადგურებიათ რომ ჰქონდათ მეც ვარ მაგის მომსწრე, იმ პერიოდში „მიშას სანატორიაში“ ვიმყოფებოდი და ჩვენი პროცესის დღე სააპელაციო სასამართლოში დაემთხვა. ჩემი თვალით დავინახე მწვანე ფერის გია გვიჩიანი, რომელიც მოწამლული გახლდათ რადგან გული ისე ერეოდა „კამერაში“ვერ შეიყვანეს და კრიტიკული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სასწრაფო გამოუძახეს. სასწრაფოს ექიმმა წნევა გაუზომა, გასინჯა და ბადრაგებს უთხრა გადასაყვანიაო, არ ვიცი სად, მაგრამ ექიმი სადღაც წაიყვანეს, დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მოიყვანეს, მე ვხედავდი როგორ მძიმდებოდა გვიჩიანის მდგომარეობა, ექთანმა რაღაც მედიკამენტი დაალევია, მობრუნებულ ექიმს ადვოკატმა მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა მოსთხოვა თუმცა ექიმი ცნობის დაწერაზეც უარზე იყო და სასამართლო პროცესზე დასწრებაზეც, ვფიქრობ იპოკრატესაც გულში აგინებდა. ზუსტად სააპელაციო სასამართლოს პროცესის ვიდეომასალა დევს იუთუბზე, სადაც მოსამართლე ნაირა გიგიტაშვილი თემიდას თვალებს თხრის და დღეს ქლორში გარეცხილი მანტიით განაგრძობს ადამიანების ბედის გადაწვეტას.

გვიჩიანმა, ჩემიამ და მათმა ოჯახმა, უდანაშაულობის დასამტკიცებლად ჯოჯოხეთი გაიარეს, დამნაშავე, კი დღემდე დაუსჯელია. აღმსრულებელს აუცილებლად ეყოლებოდა ორგანიზატორიც რომლის გამოვლენა არც წინა ხელისუფლების ინტერესში იყო და ვფიქრობ ამ ხელისუფლებასთანაც გამონახავს საერთო ენას.

მაინც ვის ინტერესში იყო ახალგაზრდა, პერსპექტიული ნიკა ლომინაძის მკვლელობა, ვინ იყო დამკვეთი, ვის ინტერესში იყო გამოძიების „სხვა რელსებზე“ გადაყვანა? აღნიშნულ სს საქმეში დავით კეკუას უარყოფითმა როლმა არაერთხელ გაიჟღერა, ვარდების რევოლუციამდეც და შემდეგ, დავით კეკუას კრიმინალური პოლიციის უფროსობის პერიოდში. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში დამკვიდრებული ტრადიცია, გამოძიებისათვის სასურველი ჩვენების მისაღებად დაკავებულთა წამება ძალაში რჩებოდა.. ამის შესახებ როგორც დაკავებულები, მათი ახლობლები ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელებიც ჩიოდნენ. სამოქალაქო სექტორიც და ადვოკატებიც კეკუას საეჭვო საქმიანობის შესახებ ხმამაღლა საუბრობდნენ და მის პასუხისგებაში მიცემას ითხოვდნენ. სახალხო დამცველი ჯერ კიდევ 2004 წელს აღნიშნავდა, რომ თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსი დავით კეკუა დაკავებულებზე ფიზიკურ და ფსიქიკურ ზემოქმედებას ახდენდა. სუბარი კონკრეტულ ფაქტებსაც ასახელებდა, თუმცა ეს განცხადებები რეაგირების გარეშე რჩებოდა. სხვათაშორის ქალაქის პოლიციის სამმართველოს მაღალჩინოსნებს, ნაცების ხელისუფლებაში მოსვლამდეც მჭიდროდ ჰქონდათ ნაცებთან გადაფსკვნილი კუდები, ენერგო მამებიც მიშასთან ერთად მშვიდად თქვლეფდნენ მსოფლიო ბანკიდან და სავალუტო ფონდიდან შემოსულ თანხებს... ნიკა ლომინაძის მკვლელობამდე უცნაურ ვითარებაში მოკლეს, ენერგეტიკის ბაზრის დირექტორის მოადგილე-(უშიშროების ხაზით) ლუკა ნინოშვილი, თითქოს ბენზინ გასამართ სადგურზე ყაჩაღობას შეესწრო, ყაჩაღებმა არ წაიღეს მისი ავტომანქანიდან ფული, იარაღი, სამაგიეროდ წაიღეს დოკუმენტები, (რომელიც მე გადავეცი საღამოს) და სიკვდილამდე ნახევარი საათით ადრე თავის მეგობარ მაღალჩინოსანს აჩვენა. იმ პერიოდში მეც აღნიშნულ დაწესებულებაში ვმუშაობდი და ლუკასთან ვმეგობრობდი, მქონდა

ეჭვის საფუძველი, რომ ლუკას მკვლელობა შეკვეთილი იყო. ამიტომ შევხვდი კეკუას და დავუსაბუთე ჩემი ეჭვის საფუძველი, პასუხმა გამაოგნა – „მე შენ ჭკვიანი ქალი მეგონე, ვერ ხვდები, რომ ამ საქმის გაქექვა კიდევ ბევრ სიცოცხლეს შეიწირავსო?“ აღნიშნულ მკვლელობას არაოფიციალურად იკვლევდნენ ლუკას მეგობრები უშიშროებიდან, ვიკვლევდი მეც და მეც მიკვლევდნენ, რადგან საკმაოდ დიდი ხანი „მატარებდნენ“სხვათაშორის ჩემი „მოთვალთვალეები“არც შსს- დან იყვნენ და არც უშიშროებიდან, საფუძვლიანი ეჭვი მაქვს „წმენდის“ოპერაციებსაც მათი დახმარებით ატარებდნენ მავანნი. შემდეგ აშკარა მუქარა უკვე ჩემმა ნამეგობრალის დედამ გადმომცა, ან უნდა „მიმეყენებია ერთი ადგილი“ ან ლუკას გზას გამიყენებდნენ, 2001 წლის ბოლო იყო, ნაცები შტურმისთვის ემზადებოდნენ, მე შეცდომა დავუშვი და ჩემი და ლუკას საერთო მეგობარს და თანამშრომელს, ნაცნობის მეშვეობით გივი თარგამაძე შევახვედრე. შეხვედრის დასრულებიდან, ზუსტად თხუთმეტ წუთში თარგამაძემ ყველა დეტალის შესახებ მოახსენა „მთავარ მწმენდავს“ (რამაც მათ დიდი ხნის კავშირში დაადასტურა)...

რიგი მიზეზების გამო შსს ს მაღალჩინოსნის, ჩემი მეგობრის გოჩა ცირეკიძის დახმარებით ჩემი შვილები კონსპირაციულად გავიყვანეთ ქალაქიდან და მეც დამარწმუნეს, რომ „თამაში“ უნდა შემეწყვიტა. აღნიშნული ამბიდან ძალიან მალე საბითუმო ბაზარში ხელმძღვანელობა შეიცვალა, რიგი მიზეზების გამო ახალი დირექტორის კაბინეტში ქალაქის პოლიციის მაღალჩინოსანზე „მომუშავე“ პირს „უსტანოვკა“ დავამონტაჟებიე, რათქმაუნდა ღამის საათებში, გავოცდი როცა მითხრა, რომ აღნიშნულ ადგილზე (ტელევიზორში) აპარატურა მანამდეც იყო დამონტაჟებული, მაგრამ შოკში ჩავვარდი როცა გავიგე, რომ ჩემი „ქმედების“ შესახებ ქალაქის პოლიციის მაღალჩინოსანსაც ჰქონდა ინფორმაცია და იმას, მთავარი „მწმენდავისთვის“ ჰქონდა მოხსენებული. ასე, რომ გვიჩიანის მიერ, მკვლელობის დაკვეთა არასდროს დამიჯერებია. რადგან ყველა სისხლიანი გზა 1999 წლიდან 2012მდე მიშასთან და მის ხროვასთან მიდიოდა. ...ნიკა ლომინაძე 2002 წლის 14 აგვისტოს მოკლეს. „ეი-ი-ეს“და ენერგეტიკის საბითუმო ბაზარი დაარსების დღიდან ერთად ვერ ძოვდნენ... ფაქტია ნიკა ლომინაძის და ლუკა ნინოშვილის მკვლელობის გახსნას ხელს მაშინდელი ქალაქის პოლიციის მაღალჩინოსნები

უშლიდნენ, როგორც ზემოთ ავღნიშნე ქალაქს სამინისტროსგან განსხვავებით იმ პერიოდში ტკბილი და მურაბა ურთიერთობა ჰქონდა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოუსვლელ ნაცხროვასთან. ამიტომაც დარჩნენ გარკვეული დროით თანამდებობებზე და შემდეგ მათ ბინძურ დავალებებს ასრულებდნენ. ვწუხვარ, არ დადგა ჩვენს ქვეყანაში ის დრო ყველაფრის თქმა, ფაქტების და მოვლენების სახელების დარქმევა, შეიძლებოდეს...

2000-02 წლებში ენერგეტიკის კუთხით არაერთი სკანდალური ინფორმაცია გაჟღერდა, მკვლელობის გარდა ადგილი ჰქონდა სიმართლის მთქმელი თანამშრომლების სახლთან დახვედრას და სასტიკად ცემას და თიზიკური განადგურებით მუქარას. სხვათაშორის იმ დროს, არც აღნიშნული სს საქმეები გახსნილა. ნაცები ხშირად გვამადლიდნენ განათებულ ქალაქს, სინათლე თურმე აშშ-მ დაგვანახა არადა ჩემი ასაკის ადამიანებს კარგად გვახსოვს, რომ არც სინათლე გვაკლდა არც სითბო და არც არავინ გვატერორებდა გადასახადებით, ეხლა კი ადამიანების უმრავლესობას თუ სინათლლე და სითბო აქვს მშიერია და მძიმე არჩევანის გაკეთება უწევს. ამერიკულმა კომპანია “ეი-ი-ეს”-მა “თელასი” 1999 წელს შეისყიდა და აქციათა 75% მფლობელი გახდა, 25%-ს კი ქართული მხარე ფლობდა. რა ფასად შეიძინა სტრატეგიული ობიექტი რომელიც ბევრად ძვირი ღირდა და რა ფასად გაასხვისა 2003 წელს, განხილვის საგანი არაერთხელ გახდა. სქოლესაც ჰქონდა კითხვები, მართალია პასუხიც იცოდა, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან სურდა მოესმინა – „დღემდე ისევ ბურუსითაა მოცული ქვეყნის ენერგეტიკის ვალების წარმომავლობა. ბუნებრივია, რომ ვალის გასტუმრება, თავის მხრივ, ტარიფზეც იმოქმედებს. “ეი-ი-ეს თელასის” მონაცემებით, ქვეყანას “ანგლო ოილისა” და “რაიჰაიზენბანკის” (77 ტონა მოხმარებული მაზუთისთვის) 7,7 მილიონი დოლარი მართებს. “იტერას” მიერ მოწოდებული 573 მილიონი კუბმეტრი ბუნებრივი აირის ვალი კი 25,8 მილიონი დოლარია. ამასთან, “ეი-ი-ეს თელასის” მიერ გადახდილი თანხა მთლიანობაში 7 მილიონ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, თურქეთში 305 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი 6,1 მილიონ დოლარს გაუტოლდა. ასე რომ, მარტივი მათემატიკური ოპერაციის შედეგად, კომპანიამ რეალური ვალის მოცულობა 20,4 მილიონი დოლარით განსაზღვრა. ამასთან, “რაიჰაიზენბანკი” 46,2 მილიონ დოლარს, „იტერა“ – 10 მილიონ დოლარს, ანუ ერთიანობაში 56,2 მილიონ დოლარს ითხოვენ. “ციფრები აბსოლუტურად იდეალური შეიძლება არ არის, მაგრამ არსებობს სოლიდური თანხა, რომლის წარმომავლობა ვერ გავარკვიეთ. კონტროლის პალატა, ამ ვალებთან დაკავშირებით, გამოძიებას აწარმოებს. ტარიფში არც ერთი ვალი არ უნდა განისაზღვროს, სანამ მისი წარმომავლობა არ დაზუსტდება. ამით ჩვენ დაბალ ტარიფს შევინარჩუნებთ”, სქოლესის მიერ გაურკვეველი თანხების წარმომავლობა, რომ მიშას ჰქონდა გარკვეულ – გადანაწილებული ფაქტია, თორემ 2003 წლის ბოლოს მაინც „გაარკვევდა“. საინტერესოა ვისი დაჟინებული თხოვნით გადაუვადა მაშინ “ეი-ი-ეს თელასს” სახელმწიფომ ვალების გასტუმრება 90 წლით, თუმცა, ამას არ უმოქმედია იმაზე, რომ იგივე პრინციპი ინვესტორს მოსახლეობაზე გაევრცელებინა...

კანონი და სამართლიანობა საქართველოში მიხეილმა თავის გუნდთან ერთად ისე დაასამარა, წამლად რომ გჭირდებოდეს, ვეღარც იშოვნი. სამაგიეროდ უხვად დატოვეს ყველა სფეროში დადებული კვერცხები საიდანაც იჩეკებიან და იჩეკებიან გაურკვეველი ჯიშის ქვეწარმავლები, რომლებსაც ყველაფრის მიმართ იმუნიტეტი აქვთ, ცეცხლი თუ შეძლებს მათ ძირფესვიან განადგურებას, სანამ ყველაფერს წაბილწავენ! შეძლებს კი „მენტალიტეტ“ შეცვლილი ერი ამ ურჩხულებთან ბრძოლას, ვფიქრობ, ჯერ სურვილია საჭირო და ბრძოლის ჟინი თავისით მოვა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კვლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

– რა წესით ინიშნება გამასწორებელი სამუშაო, როგორ სასჯელი, და როგორია სამართლებრივი შედეგები?

გამასწორებელი სამუშაო ინიშნება ერთი თვიდან ორ წლამდე ვადით და მოხდილი უნდა იქნეს მსჯავრდებულის სამუშაო ადგილზე.

გამასწორებელი სამუშაოს დანიშვნისას მსჯავრდებულის ხელფასიდან სახელმწიფოს შემოსავალში დაიქვითება თანხა განაჩენით დადგენილი ოდენობით არანაკლებ ხუთისა და არა უმეტეს ოცი პროცენტისა.

თუ მსჯავრდებული ჯეუტად თავს აარიდებს გამასწორებელ სამუშაოს, ეს სასჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება თავისუფლების შეზღუდვის ან თავისუფლების აღკვეთის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე – თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე; გამასწორებელი სამუშაოს სამი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე.

* * *

– მაინტერესებს „საჩუქრის“ თემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით.

– კანონის „ საჯარო სამსახურის შესახებ“ მე- 5 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქარი“ არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან გაწეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.

მე-2 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო

ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

მე-3 ნაწილი: საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეული წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება ოჯახის თითოეულ წევრზე არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ხოლო

ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.

ამავე კანონის 51-ე მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზნებისათვის „საჩუქრად“ არ ჩაითვლება:

ა) სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გადაცემული გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია;

ბ) „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელიც გადაეცემა საჯარო მოსამსახურეს ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს პროტოკოლით გათვალისწინებული წესით და რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს;

გ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან დაწესებულების მიერ საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის პირად საკუთრებაში გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 300 ლარს და

რომელიც მიღებულია ერთი წყაროდან ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს;

დ) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით გაწეული მომსახურება, რომელიც არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს;

ე) საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება;

ვ) საჩუქრად გადაცემული ნაბეჭდი გამოცემები, გარდა იმ კულტურული ფასეულობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

ამავე კანონის 52-ე მუხლის მიხედვით, თუ საჯარო მოსამსახურე ან მისი ოჯახის წევრი საჩუქრის მიღების შემდეგ დაადგენს, რომ საჩუქრის ღირებულება აღემატება ამ კანონით დასაშვებ მოთხოვნებს ან/და გარკვეული მიზეზებით (ფოსტით მიღებული საჩუქარი, საჯაროდ გადაცემული საჩუქარი) შეუძლებელი იყო საჩუქრის მიღებაზე უარის თქმა, მაშინ ის ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროში წარადგინოს მიღებული საჩუქრის დასახელება, შეფასებითი ან

ზუსტი ღირებულება/ოდენობა, მიუთითოს მჩუქებლის ვინაობა, ხოლო აკრძალული საჩუქარი სამი სამუშაო დღის ვადაში გადასცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო სააგენტოს.

* * *

– რა მიეკუთვნება უძრავ ნივთებს?

– უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით,მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

* * *

– ვრცელდება თუ არა იპოთეკა უძრავი ქონების ნაყოფზე?

– არა. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 293-ე მუხლის მიხედვით, იპოთეკა არ ვრცელდება უძრავი ნივთის ნაყოფზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ანუ, თუ, მაგალითად, იპოთეკის საგანია მიწის ნაკვეთი, ამ მიწაზე მოსული შემოსავალი ეკუთვნის მის მფლობელს, თუ რა თქმა უნდა, მხარეები თავიდანვე არ შეთანხმდნენ საწინააღმდეგოზე.

გენიოსების სახალისო უცნაურობები

გენიოსებს, რომლებმაც უდიდესი აღმოჩენები გააკეთეს ან სამყაროს ხელოვნების უკვდავი ნაწარმოებები აჩუქეს, ხშირად აუხსნელი და სახალისო უცნაურობები ახასიათებთ...



თავზე გადავლებული ერთი ვედრო წყალი

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის უცნაურობების შესახებ ლეგენდები დადიოდა, რომლებსაც მის ზურგს უკან მოხითხითე მოსამსახურეები ავრცელებდნენ. ბეთჰოვენი თვლიდა, რომ შთაგონებაში ხელს უშლიდა წვერის გაპარსვა და ამიტომ მუშაობის დაწყების წინ ამას არასოდეს აკეთებდა. წვერის გაპარსვის ნაცვლად თავზე ერთ ვედრო წყალს გადაივლებდა ხოლმე, რადგან თვლიდა, რომ ეს მის ტვინს ააქტიურებდა!

გარდა ამისა, ბეთჰოვენი სახლში ისეთ ქაოსს ქმნიდა, რომელსაც მისი მსახურები ვერ უმკლავდებოდნენ — ყველგან ეყარა სანოტო ფურცლები, ტანსაცმელი და წიგნები...



იუჰან შტრაუსი კი სიარულის დროს ქმნიდა მუსიკას. მისი ცნობილი ვალსები ოთახიდან ოთახში გადაადგილებისას იქმნებოდა, სადაც წინასწარ დგამდნენ მაგიდებს და მომარაგებული იყო სანოტო ფურცლები და საწერი საშუალებები...

იოჰან ბრამსი თავის მელოდიებს ფეხსაცმლის წმენდის დროს წერდა. იგი ფეხსაცმელს დღეში რამდენჯერმე აპრიალებდა და ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ვაქსისა და ფეხსაცმლის გასაპრიალებელი მაუდის გვერდით ეწვეოდა ხოლმე ჭეშმარიტი შთაგონება...

ნიკოლო პაგანინი კი შემოქმედებითი ენერგიით სასაფლაოზე გამართული ხანგრძლივი კონცერტების შედეგად ივსებოდა...

გამაოგნებელი დალი

ბევრ ცნობილ მხატვარსაც ახასიათებდა მრავლობითი უცნაურობები, რომლებიც ჩვეულებრივ მოკვდავთა გაოცებას იწვევდა. ყველაზე ეპატაჟური ტილოსა და საღებავების ოსტატებს შორის, რა თქმა უნდა, სალვადორ დალი გახლდათ.

ჯერ მარტო მისი გარეგნობა აოცებდა ადამიანებს — უცნაური სამოსი, საოცარი ულვაში...

დალი თვლიდა, რომ ადამიანებში არა მარტო მის შემოქმედებას, არამედ მის ყველა მოქცევას და ცხოვრების წესსაც უნდა გამოეწვია გაოცება. ამგვარად, იგი ერთ-ერთ ამერიკულ ქალაქში ლექციაზე წყალქვეშა ცურვის კოსტიუმსა და „შლემში“ გამოწყობილი გამოცხადდა. როცა გაოგნებულმა მსმენელებმა ჰკითხეს, რატომ ეცვა ასეთი უცნაური სამოსი, სალვადორ დალიმ უპასუხა, რომ ასე მას გაუადვილდებოდა საკუთარი ქვეცნობიერის სიღრმეებში ჩაღრმავება...

ასეთი ქცევა უფრო ხულიგნურ საქციელს წააგავს, მაგრამ სინამდვილეში ასეთი მჩქეფარე წარმოსახვის გარეშე ვერ შეიქმნებოდა მისი გენიალური ნახატები, რომლებშიც ხშირად „ცელქობდა“ ხოლმე. დალის ერთ-ერთ სურათზე გამოსახულია მისი მუზა გალა, რომელსაც ცხვრის ხორცის დაბეგვის ნაჭრები აფენია მხრებზე. როცა ხელოვნების გაოგნებულმა შემფასებლებმა ჰკითხეს, ეს რას ნიშნავსო, დალიმ ეშმაკურად უპასუხა: „მე მიყვარს გალა და ცხვრის დაბეგვილი ხორცი. აქ ორივეა გამოსახული. შესანიშნავი ჰარმონიაა“...

შილერი და ყინული

მწერლები და პოეტები დიდი ხანია საკუთარი უცნაურობების გამო ანეკდოტების გმირები გახდნენ. მეიგავე ლაფონტენს ქუჩებში სიარული და ამ დროს საკუთარი ლექსების კითხვა უყვარდა, რომლებიც იმ წუთში მოსდიოდა თავში.

ანატოლ ფრანსი კი წერდა ყველაფერზე, რაც ხელში მოხვდებოდა — იგი ქმნიდა ნაწარმოებებს რესტორნის ხელსახოცებზე, სავიზიტო ბარათებზე, კონვერტებზე, ზოგჯერ კი ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტებზეც კი...

ონორე ბალზაკი საკუთარ მრავალრიცხოვან ნაწარმოებებს წერდა საწერ მაგიდასთან ფეხშიშველი მჯდარი. უნდა ითხვას, რომ მის სახლში ძალიან ცივი იატაკი იყო და მწერალს ფეხები სულ ეყინებოდა. მაგრამ იგი თვლიდა, რომ ეს საკუთარი აზრების კარგად ჩამოყალიბებაში ეხმარებოდა. ასევე ფიქრობდა შილერიც — იგი ყოფდა ფეხებს ყინულით სავსე თასში და ამის შემდეგ ქმნიდა თავის უკვდავ პოემებს...

სიცივის გარდა, ბალზაკს ძალიან უყვარდა ყავაც. იგი დღეში ამ მასტიმულირებელი სასმელის 15 ფინჯანს სვამდა. მასზე მეტ ყავას სვამდა მხოლოდ ერთი ადამიანი — ვოლტერი. იგი დღეში 50 ფინჯან ყავას მიირთმევდა...

მწერალ ალბერ კამიუს გატაცება კი იმ ქალებზე დაქორწინება იყო, რომლებსაც რაიმე ფსიქიკური გადახრა ჰქონდათ — მისი ორივე მეუღლე „არაამქვეყნიური“ იყო. თავად ისიც ფრიად უცნაური ადამიანი გახლდათ. როცა მეორე ცოლი სამშობიაროდან მოჰყავდა, ახალდაბადებული ტყუპების წამოყვანა დაავიწყდა...

აინშტაინი წინდების გარეშე

სიტყვები „მეცნიერი“ და „უცნაური ადამიანი“ პრაქტიკულად სინონიმები გახდა. სინამდვილეში, ადამიანები, რომლებიც სერიოზულ თეორიებს ქმნიდნენ და სამყარო შეცვალეს, ცხოვრებაში დიდი უცნაურობებით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, დაკარტი თავუს თეორემებს მხოლოდ დაწოლილ მდგომარეობაში იგონებდა.

ჩაფიქრებულმა ნიუტონმა კი ერთხელ კვერცხის ნაცვლად საკუთარი ჯიბის საათი მოხარშა...

აინშტაინი კი ყოველთვის საკუთარ სამყაროში იყო ჩაფლული, მის თანამოსაუბრეებს რამდენჯერმე უწევდათ ერთი და იმავე ფრაზის გამეორება, რათა მისთვის როგორმე ხმა მიეწვდინათ. აღმოჩენილია აინშტაინის წერილი, რომელსაც ცოლს სწერდა. იგი აღიარებს: „ყველაზე უფრო საზეიმო შემთხვევებშიც კი წინდების გარეშე ვიმყოფებოდი და ამის დამალვას მაღალყელიანი ფეხსაცმლის წყალობით ვახერხებდი“.

ზოგჯერ მეცნიერებს განსაკუთრებული გატაცებებიც ჰქონდათ. მაგალითად, ნილს ბორი საკუთარო ქვეყნის ფექბურთის ნაკრების წევრი იყო, პითაგორი კი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ მუშტებით ბრძოლაში! მენდელეევს ჩემოდნების კეთება იტაცებდა და ისეთ ხარისხიან და გამძლე ნივთებს ამზადებდა, რომ უამრავი მსურველი ჰყავდა...

ლევ ლანდაუს, ფიზიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატს კი პასიანსის გაშლა უყვარდა, თან ბუბუნებდა: „ეს ფიზიკა კი არ არის, აქ ფიქრია საჭირო, ფიქრი...“

პრეზიდენტის მარიხუანა

გვირგვინოსნები და პოლიტიკოსებიც, რომლებიც მსოფლიოს ბედს განაგებენ, ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათაც თავიანთი უცნაურობები აქვთ. მაგალითად, იმპერატორ ნერონს აბაზანაში წოლა უყვარდა, რომელშიც ცოცხალი თევზები დაცურავდნენ. იგი თვლიდა, რომ თევზები მას ენერგიას გადასცემდნენ...

ამერიკელი პოლიტიკოსს ბენჯამინ ფრანკლინს ძალიან უყვარდა ყველი და მუშაობის დაწყებამდე წინ სხვადასხვა ხარისხის ყველით სავსე თეფშს იდგამდა... გარდა ამისა, მის მოსამსახურეებს აკრძალული ჰქონდათ ამ დროს ოთახში შესვლა, რადგან იგი აბსოლუტურად შიშველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ფრანკლინი თვლიდა, რომ შიშველი ადამიანი უფრო კარგად აზროვნებს...

ლეგენდარული ჯორჯ ვაშინგტონი კი მებაღეობით იყო გატაცებული. მის ბაღში ყველაზე საყვარელი მცენარე მარიხუანა იყო, მაგრამ მისი ნარკოტიკული თვისებები პოლიტიკოს სრულიად არ აინტერესებდა...

უინსტონ ჩერჩილს ძალიან უყვარდა სათამაშო ჯარისკაცებით თამაში. იგი ახალგაზრდობიდან აგროვებდა ჯარისკაცებს და უდიდესი კოლექცია ჰქონდა, რითიც ძალიან ამაყობდა...

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა